წელიწადი პირველი — ფასი 5 კაპ. — ხუთშაბათი, 5 გიორგობისთვე 1915 — № 135 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] ღირს 15 კ., უკანასკნელზე [illegible] კ., [illegible] განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.


საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“ Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილოს

„პეტროგრადში“

კრუზენსტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок“-ის რედაქციის პირდაპირ

მზადდება ყოველნაირი

ევროპიული და აზიური საჭმელები

ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ. თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან. შეიძლება ვახშმის შეკვეთა.

პატივისცემით ი. კახეთელიძე და გ. არჩვაძე.

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის

ქარხნები

მ. ე. ლაღიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: სვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო მიტროფანე ლაღიძის და ამხანაგობის ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის სამკურნალო წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი მზადდება უმაღლესი ღირსების ბუნებრივი მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლაღიძის წყალი, გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს დოსტაქარი ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.


## 26 თიბათვის სასოფლო რეფორმა

ბატონყმობის გაუქმებამ გლეხი იურიდიულ პიროვნებად აქცია და გარეშე მცირედი გამონაკლისი კანონის წინაშე უფლებრივად გაათანასწორა. ამ ძირითად რეფორმას მოჰყვა რეფორმების მთელი წყება რომლის დანიშნულებას შეადგენდა გლეხის ცხოვრების მოგვარება. სწორედ ამ დროისაა ის სოფლის რეფორმა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოქმედებდა, მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში და რომელმაც დაჰკარგა თავისი ძალა 26 თიბათვიდან. სოფლის საზოგადოებრივი ცხოვრების მოგვარება, მისი მართვა მინდობილი ჰქონდა თვით სოფელსავე: სოფლის ყრილობა, სასოფლო სასამართლო და მამასახლისი—აი ის დაწესებულებანი და პირი, რომელთაც ევალებოდა სოფლის მოვლა-პატრონობა. ბევრი უთუოდ საღი და კეთილი მოსაზრება არის გატარებული ამ კანონში. სოფლის მოხელეთა არჩევა, მავნე პირების ან სრულიად გაძევება ან დროებით განდევნა, ქვრივობლების პატრონობა, ოჯახების გაყრა, სხვა და სხვა საჩივრის განხილვა, შუამდგომლობა სადაც ჯერ იყო სოფლის საჭიროებაზე, სანიტარული ზომების მიღება, გზების გაყვანა, არხების და რუების შეკეთება, სამართლის წარმოება თანახმად ადგილობრივ წესებისა, ადათისა და ზნე-ჩვეულებისა, დანაშაულობისათვის სასჯელის მიყენება და სხვა და სხვა,—ყველა ეს უფლება თუ მოვალეობა სოფლის ხელში იყო. თქმა არ უნდა, ყველა ამის სათანადო შესრულებას სოფელს დაუფასებელ სარგებლობას მოუტანდა, გაალვივებდა სოფლის ხალხის თვითმოქმედებას ნაირ-ნაირ სფეროში, თუ სასამართლოში, თუ მეურნეობაში, თუ კონტროლისა და ზედამხედველობის მხრივ.

სოფელი გამდიდრდებოდა თვითმართველობის გამოცდილების მხრივ და ინიციატივიანი, თაოსანი ხალხი გვეყოლებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სოფელში კაცი არ იყო; არ იყვნენ გულშემატკივარი, განათლებული პირები რომ სოფლის გაწვრთნაში, ამ კანონის სრული გამოყენებით, მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ და ხელი შეეწყოთ სოფლის გადოვლათიანებისათვის. შედარებით სასარგებლო კანონი, სოფლის ბედისწერად გადაიქცა. ვინ არ იცის, რომ სოფლის მამასახლის-მწერლების უძღები და ხარბი გული უმოწყალოდ ყვლეფს სოფელს და მათი აღვირ-ახსნილი თვითნებობა აუტანელ შეურაცყოფას აყენებს საცოდავ გლეხს. სოფლად უკაცობის გარდა, ამ რეფორმის უნაყოფობის მიზეზი თვით მისსავე ბუნებაში იმალებოდა. სოფლის ერთეული, რომელსაც ეს კანონი ცხოვრებაში უნდა განეხორციელებინა, ერთობ მრავალრიცხოვანი იყო. ხშირი იყო ისეთი სოფლის საზოგადოება, რომელშიაც შედიოდა 20—30 სოფელი. კომლიდან კაცი რომ ყრილობას დასწრებოდა, რამოდენიმე ასი კაცი მოიყრიდა თავს. ასეთ გაუწვრთნელ და კრებების წესებში უვარგის ზრდელ ხალხს ცხადია რიგზე მსჯელობა და ბჭობა არ შეეძლო. ღრიანცელი, ყვირილი, ჩოჩქოლი, ხშირად ლანძღვა-გინება, ერთი ვინმეს წამოძახებით საყურადღებო საკითხის გადაჭრა—ჩვენი სოფლის ყრილობათა ჩვეულებრივი სურათი იყო.

26 თიბათვის კინონი სპობს ამ ნაკლს, რომელსაც თავის ბუნებაში ატარებდა აწ გადავარდნილი რეფორმა. ახალ კანონის ძალით სოფლად განმტკიცდა ერთგვარი **წარმომადგენლობითი** წესი თვითმართველობისა. სასოფლო ყრილობის მაგივრად შემოდის **ოცისთავთა** ყრილობა. სოფელი სამის წლის ვადით ირჩევს სოფლის თავებს, რომელთა ყრილობას იგივე კომპეტენცია აქვს, რაც წინანდელ სოფლის ყრილობას ჰქონდა.

თანახმად მეფის ნაცვლის ცირკულიარისა, სოფლის უმცირესი ერთეული,—სოფლის საზოგადოება—ოთხას კომლზე ნაკლებს არ უნდა შეიცავდეს და არც 100 კომლზე მეტს. თვით ოცის თავთა ყრილობის წევრთა რაოდენობა 20-ნაკლები და 50 მეტი არ უნდა იყოს.

ამ ინსტიტუტს, რომლის ნათქვამს და ნალაპარაკევს მთელი სოფელი ეყოლება მსაჯულად, შეეძლება მეტი ნაყოფიერი მუშაობა, მეტი წესისა და რიგის შეტანა სოფლის საქმეებში და თვის საკუთარ ფუნქციების აღსრულებაში. აღარ იქნება ყრილობის მრავალ რიცხოვანობის უხერხულობა, რაიცა ერთობ თვალსაჩინო ნაკლი იყო წინანდელი სოფლის ყრილობისა. უნდა ვიგულისხმოთ რომ ამ არჩევნებითი წესის შემოღებით სოფლის საქმეზე ბჭობა-მსჯელობაში უფრო გონიერი, ბუნებით ჭკვიანი და სოფლის ყურადღება დამსახურებული პირები მოჰყვებიან. უნდა ვიწამოთ სოფლის კეთილ-გონიერება რომ ის მხოლოდ ღირსეულ პირებს აირჩევს. ეს მეორე დიდი ღირსებაა ამ ახალ კანონისა. 26 თიბათვის რეფორმას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ჩვენი სოფლისთვის, თუ ამ რეფორმას ნამდვილი ჭირისუფალი და გულშემატკივარი გამოუჩნდა. თორემ უკაცობა და უყურადღებობა ამ კანონსაც ისე გააუკულმართებს, როგორც არა ერთიორი კარგი კანონი გაუუკულმართებია და ქვეყნის ჭირად გაუხდია.

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### სამხედრო მასალის დამზადება გერმანიაში.

„რეჩ“-ის სიტყვით გერმანელები სამხედრო მასალის დასამზადებლ კრუპის ქარხანაში რუს ტყვეებსაც ამუშავებენ თურმე. მხოლოდ თიბათვეში კრუპის ქარხანაში 10 ათასი ტყვე რუსი უმუშავებიათ, ხოლო რეინჰაუზენის თუჯის ჩამომსხმელ ქარხანაში—ხუთი ათასი.

### დვინაზე

ამ დღეებში ისკიულსა და ოვარის შუა, მდ. დვინაზე გერმანელებმა გამზადებულ ხიდის გამართვა იწყეს, თუმცა რუსები საშინელ სროლას აწარმოებდნენ მათ წინააღმდეგ. ხიდი რომ მოათავეს და გერმანელთა ცხენოსანი ჯარი ხიდზე შესდგა, რუსებმა ზარბაზნის ცეცხლით ხიდი დაანგრიეს და წყალს მისცეს. იმავე დღეს გერმანელებმა სხვა ადგილებშიაც სცადეს დვინაზე გადმოსვლა. გერმანელმა ტყვემ განაცხადა,—მეტი ილაჯი არ არის, დვინაზე გადმოსვლა იმ დრომდე უნდა გადაიდვას, სანამ დვინა გაიყინებაო. გერმანელებს ტყვის მტყორცნელები გამოუდგამთ მწკრივად, ათობით და საშინელ ცეცხლს აწვიმებენ მოპირდაპირეს. დვინაზე გადასვლა, როგორც სჩანს, გერმანელების უმახლობელესი სურვილია. (ბ. ვ.)

### რიგაში

უკანასკნელ დღეებში რკინის გზის სადგურზე საშინელი ჭყლეტა იყო. აფორიაქებული ხალხი მოაწყდა საფგურს მატარებლის მოლოდინში, ღია [illegible] ქვეშ, თოვლსა და ყინვში ბი[illegible] [illegible] რიგს ელოდა. ეს მესამე შემთხვევაა ხალხის ასეთი პანიკისა, მას მერე, რაც გერმანელები ბალტიის ზღვის სანაპიროებს აწვებიან. (ბ. ვ.)

### იკსკვიულთან

„ბ. ვ.“-ის სიტყვით, იკსკვიულის მიდამოებში თოვლ-ჭყაპისაგან საშინლად გაფუჭებულა გზები. სურსათის ურმები ლაფში იფლობა თურმე. აქ ორივე მოპირდაპირე სცდილობს მტერს ზურგიდან მოექცეს. მზვერავთა სიტყვით, გერმანელების მხარეს მდებარე გზები უფრო უარესი სანახავია. გერმანელთა სანგრები ნახევრად წყლითაა სავს, გზები დამტვრეულ საბარგო ურმებითაა მოფენილი.

### გერმანელთა უკიდურესი სითამამე

კოპენჰაგენიდან ცნობები მოდის, რომ გერმანელთა სითამამემ განსაცვიფრებელი ხასიათი მიიღო საბერძნეთში. მათი აგენტები მოურიდებლად აგებენ რადიო-ტელეგრაფებს, რათა მოკავშირეთა დეპეშები დაიჭირონ და ხელმძღვანელობა გაუწიონ თავიანთ წყალქვეშა ნავებს. საბერძნეთის მთავრობამ გერმანელთა აფიცრებს სიამოვნებით მისთავაზა სამხედრო ავტომობილები სალონიკიდან ათინაში გასამგზავრებლად. ეხლა თვით მეფეც აპირებს სალონიკში წასვლას. ეს ამბავი მღელვარებას იწვევს მოკავშირეთა შორის. განსაკუთრებით ფრანგული პრესა მოითხოვს საბერძნეთის წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქმნეს მიღებულიო. ჰერვე თავის „Duerre sociali“-ში კითხულობს: „ნუ თუ კიდევ ვაგვიანებთ, სალონიკში იმდენი ჯარები მაინც მოვაგროვოთ, რომ საბერძნეთის გამცემლობა დროზე ავლაგმოთ?“

### საბერძნეთი

საბერძნეთმა დაადგინა იარაღი აჰყაროს სერბეთის ჯარს, უკეთუ იგი საბერძნეთის მიწა-წყალზე ფეხს შემოდგამს.

— საბერძნეთის მთავრობის ცოდნანებართვით, გერმანეთის წყალქვეშა ნავები ხმელთა-შუა ზღვაში რომ მოქმედებენ, ყველა საჭირო მასალას საბერძნეთიდან ღებულობენ.

### სპარსეთი

#### სპარსეთის ბედი.

„უტ. რ.“ სწერს: ოსმალეთსა და ბულგარეთის გამოლაშქრებამ ის სარგებლობა მაინც მოგვიტანა, რომ, ეხლა სპარსეთში ისეთ შეცდომას, გაუბედაობას და სიბეცეს აღარ გავიმეორებთ, რის შედეგიც იყო ოსმალეთ-ბულგარეთის გადაბირება. სპარსეთის შაჰს რუსეთმა და ინგლისმა გადაჭრით განუცხადეს: დღეის შემდეგ რა გზით მიიმართება სპარსეთში საქმის ვითარება, ეს სავსებით შაჰზეა დამოკიდებული. მას კიდევ დრო აქვს საბედისწერო ნაბიჯი შეაჩეროს და ჩვენს მტერთა ოსმალ-გერმანელთა წინააღმდეგ პრაქტიკული ნაბიჯი გადასდგას. თუ სპარსეთის მთავრობა ამ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებს, რუსეთი და ინგლისი დაეპატრონება სპარსეთის მართვა-გამგეობას.

### სერბეთი

#### მდგომარეობა

სერბეთი განიცდის საშინელ დღეებს. შეიარაღებული მტერი დაეპატრონა სერბეთის მეტ წილს. აშლილი ზღვა მკვლელებისა საბოლოო წალეკვას უქადის. შუმიდის მობიბინე ველები უდაბნოდ გადაიქცა. საცოდავ სანახაობას წარმოადგენს ასი ათასი მეტი ხალხი, რომელიც სერბეთის ჯარს წინ უსწრობს და მიეშურება თავის შესაფარად. სერბეთი შველას მოელის, მოკავშირეთა ჯარებს ელოდება. მაშველი ჯარი მოვიდა კიდეც მაგრამ, საკმარისი არაა.

#### ნიში

ნიში, რომელიც აიღო ბულგარეთის ჯარმა, გენერალ ბოიაჯევის მეთაურობით, სერბეთის ერთი უძლიერესი სიმაგრეთაგანი იყო. მას გარს ერტყა ორი რიგი სიმაგრე, თითქმის აუღებელი.

#### ყველაზედ მახლობელები არა შველიან.

შეთანხმების სახელმწიფოთა ცდა უნაყოფოდ დარჩა. საბერძნეთი ვერ დაითანხმეს სერბეთის საშველად გამოსულიყო. ანტიგერმანულ კოალიციაში იტალია ყველაზე ახლოა სერბეთზე და სხვებზე ადრე მას შეეძლო სერბეთისთვის შველა აღმოეჩინა. აქამდის იტალიამ ფაქტიურად ნაბიჯი არ გადასდგა.

—

„რ. ვ.“-ს ატყობინებენ, რომ ბულგარებმა ნიშიდან და ალექსინაციდან უკუჰყარეს სერბები და აიძულეს სამხრეთ-მორავის მარცხენა ნაპირზე გადასულიყვნენ კრალიევოს სამხრეთ-დასავლეთით. გერმანელებს თავის მხრით იერიში მოაქვთ იბარის ორთავე მხრიდან კრუშევაცის სამხრეთ-დასავლეთით და ალექსანდროვი აიღესო.

—

ბაბუნის ხეობაში საშინელი ბრძოლაა. ბულგარებმა დიდძალი მაშველი ჯარი მიიღეს და სერბების ფლანგებზე ფიცხელი იერიშები განაახლეს, იმ მიზნით რომ მონასტირის შოსე ხელში ჩაეგდოთ. ვალონოვას რაიონში ბულგარები ანვითარებენ აქტიურ მოქმედებას. ამ რაიონში ბულგარებს მოსდით დიდძალი ქვეითი ჯარი და არტილერია.

—

ოცი ათასი გამოქცეული სერბი, უტანისამოსო და მშიერი მოაწყდა სალონიკს. ათინაში შესდგა კომიტეტი გამოქცეულ სერბების საშველად.

### საბერძნეთში

გერმანეთმა უმატა თავის ენერგიას რომ საბერძნეთი თავის სასარგებლოდ დაარწმუნოს და ომში ჩაითრიოს. დეპეშების საშუალებით ვილჰელმი განუწყვეტლივ ურთიერთობაშია საბერძნეთის მეფესთან, რომლისაგან მოითხოვს შეიარაღებულ გამოსვლას, როგორც კი გამარჯვებული გერმანეთის ჯარი, სერბეთის შემუსვრის შემდეგ, საბერძნეთის საზღვარს მიადგებაო.

#### საგანგებო მოლაპარაკება

ავსტრო-უნგრეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ბურიანი ბერლინს გაემგზავრა. მის გამგზავრებას კავშირი აქვს იმ სამეფო თათბირთან, რომელიც გაიმართება ბუქარესტში, პალატის ახალ სესიის მოწვევის წინ და სადაც უნდა გადაწყდეს რუმინეთის პოლიტიკის მიმართულება.

ბერლინში ბურიანმა და მისმა გერმანელმა კოლეგებმა ბუქარესტში გასაგზავნი დეპუტაცია უნდა აარჩიონ იმ საგანგებო დავალებით, რომ ყოველი ღონე იღონონ რუმინეთის მთავრობის მოსამხრობათ. ამასთანავე გერმანეთისა და ავსტრია-უნგრეთის მინისტრებმა უნდა საბოლოოდ შეიმუშაონ თუ რა უნდა დაეთმოს უნგრეთის რუმინელებსა და რუმინეთს, რომ ამ უკანასკნელს იარაღი ხელში აეღებინონ ავსტრია-გერმანეთის სასარგებლოდ.

### საფრანგეთის პრესა

საფრანგეთის პრესა გულისწყრომას უცხადებს საბერძნეთის მთავრობას და მეფეს იმ განსაკუთრებული თავაზიანობისა და აშკარა დახმარებისათვის, რომელსაც იგი უწევს გერმანელ ოფიცრებსა და წყალქვეშა ნავებს. პრესა მოითხოვს, რომ საბერძნეთის წინააღდეგ სასტიკი ზომები იქნას მიღებული. „Za guerre sociale-ში ცნობილი ჰერვე წყრომით ჰკითხულობს: „ნუ თუ კიდევ ვიგვიანებთ?? იმდენი ჯარი მაინც ჩავიყვანოთ სალონიკში, რომ საბერძნეთის თავგასულობა აილაგმოს“.

### მოკავშირეთა შეცდომა.

ერთი ცნობილი ინგლისელი სახელმწიფო კაცის აზრით, მოკავშირეთა შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მეფე კონსტანტინე საბერძნეთის ნომინალურ მეთაურად მიიჩნიეს, ხოლო ვენიზელოსი საბერძნეთის პოლიტიკის ნამდვილ ხელმძღვანელად. მეორე შეცდომა მოკავშირეთა ის იყო რომ სერიოზულად განიზრახეს ბალკანეთის ხალხების შერიგება და მათ შორის ძმური კავშირის დამყარება, მაშინ როდესაც ისინი ერთი მეორეს სასტიკად მძულვარებენ და ველარ იტანენ.

### ოსმალეთში

ოსმალეთის პარლამენტმა დაადასტურა კანონი გერმანეთში სესხის აღების თაობაზე, ამ სესხიდან ოსმალეთი ავანსად მიიღებს ექვს მილიონ ოსმალურ გირვანქას.

### ნობელის პრემია გერმანელ პროფესორს.

შვეციის მეცნიერებათა აკადემიამ 1914 წლის ნობელის პრემია საფიზიკო მეცნიერებაში მიუსაჯა მაინის ფრანკფურტის პროფესორს, ფონ-ლაუეს, კრისტალებში X-ის სხივების დიფრაქციის აღმოჩენისათვის.

### საჰაერო ფლოტის გადიდება.

გერმანეთში, „Daili Telegrafh-ის“ გადმოცემით, ოც სხვა და სხვა ადგილას აუგიათ საგანგებო სახელოსნოები ცეპელინების ასაგებად. არც ერთ სხვა საამშენებლო დარგში მუშაობა ისე ცოცხლად და სწრაფად არ მიმდინარეობს, როგორც ამ დარგში. გერმანეთი ამ ჟამად თავის საჰაერო ფლოტილიის გადიდებას ყველაზედ მეტ ყურადღებას აქცევს. ცეპელინების გარდა, გერმანეთში აგებენ „პარსევალისა“ და „შიუტის“ ტიპის დირიჟაბლებს.

### ბერლინის გუბერნატორის ბრძანება.

ბერლინის გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა, რომ ორი დღით ადრე ეცნობოს პოლიციას თუ სადმე რა დახურული კრებაა და იმ სიტყვების შინაარსი, რომელიც უნდა უქმნას წარმოთქმული ამ კრებებზე.

—

უკანასკნელ ცნობის მიხედვით 1914 წლის მობილიზაციის დროს გერმანელებს ჰყავდად გაწრთვნილი მოთადარიგე 4,700 ათასი; გაუწრთვნელი 5,350 ათასი. ამას უნდა მივუმატოთ 1917 წლის გასაწვევთა რიცხვი და მთელი რიცხვი გერმანელთა ჯარისა 10,550 ათასი მეომარი იქმნება.

—

როგორც ამბობენ, ამ ბოლო დროს თვით. მსროლავი თოფები და ზარბაზნები ხმარებაში შემოუღიათ. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ იარაღს, როცა მოწინაალმდეგე იერიშით მიდის. სადღაც შორიდან მოჰმართავენ და მუსრს ავლებენ იერიშით წამოსულს ჯარს.

## უკანასკნელი ფოსტა

### სერბთა ჯარების რაოდენობა

„Berl. Tag.“-სამხედრო მიმომხილველი, ცნობილი მორატი ამბობს, რომ სერბებს ამ ჟამად 150 ათასი კაცი კიდევ უნდა ჰყავდეთ ბრძოლის ველზე.

### საბერძნეთის გარდაწყვეტილება.

საბერძნეთმა გადასწყვიტა თვით მოკავშირეთა ჯარებსაც კი იარაღი აჰყა-

რის, თუ ვინიცობაა მათს მიწა-წყალზე მოუხდებათ უკან დახევა. ამის უფლებად ჰაგის კონფერენციის დადგენილებას ასახელებენ.

**ბულგართა იერიშები**

ბულგართ სასტიკი იერიშები მიაქვთ სამხრეთ მაკედონიაში და სცდილობენ მოკავშირეთა ფრონტის გარღვევას. ჯერ ჯერობით ცდას მათთვის სასურველი ნაყოფი არ გამოუღია.

**მთაშავეთის გარშემო**

გერმანელებმა იერიში მიიტანეს მთელს ფრონტზე ვიშეგრადის მიმართულებით მთაშაველთა ჯარები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ გამაგრებულ პოზიციებზე.

— კალიფატადან იტყობინებიან მდინარე დუნაიზე ლომპანაკის მიმართულებით გაგზავნილ იქმნა სამხედრო მასალით დატვირთული ავტომობილები და გერმანელ ჯარისკაცებით 9 ხომალდი.

— ბულგარეთზე დღემდე ოსმალეთში გერმანელებს გაუგზავნიათ 30 ხომალდი თითო ხომალდი 40 ვაგონის საპალნეს ერევა. მაშასადამე სულ გაუგზავნიათ 1200 ვაგონის საპალნე სამხედრო მასალა.

— ბრძოლის ველზე საჰაერო დაზვერის დროს დაიღუპა სახელმწიფო სათათბიროს წევრი პოდპოლკოვნიკი ნოვეგ ანტევი.

**ბრძოლა სტირთან.**

დალინის მიდამოებში მომხდარ ბრძოლის თაობაზე, მცოდნე პირნი ამბობენ, რომ ბრძოლა თვითონ კუნძულზე კი არა, მარცხენა ნაპირზეაო. მოპირდაპირეს ჯერ დიდი ზარბაზნები მდ. სტირთან მიუტანია, რათა შეემუსრა იქ მდებარე სიმაგრეები და ამ გზით მიემართა მახლობელ ადგილებიდან გადმოყვანილი ჯარი.

**საბერძნეთში.**

რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის მთავრობამ საბერძნეთი მეგობრულად გააფრთხილეს, თუ შენს მიწა-წყალზე გადმოსულ სერბებს იარაღს აჰყრი ეს სერბიის წინააღმდეგ მიმართულ მტრობად ჩაითვლებაო. საბერძნეთს ჯერ პასუხი არ მიუცია.

**კოველ-სარნის ხაზი.**

კოველ-სარნის რკინის გზის დასწვრივ ცხარე ბრძოლაა. ბოლო დროს ძნელი გამოსაცნობი ხდება, გერმანელები საით უფრო გააძლიერებენ შემოტევას.

**მდ. სტირის ნაპირებზე.**

„ნ. ვ." სიტყვით სტირის ფრონტზე წარმოებული ბრძოლა იმისი მომასწავებელია, რომ დიდი ბრძოლა ახლოვდება. მოპირდაპირეს სწადიან რავალოვკა-ჩარტორისკის გზის გარღვევა.

— როგორც პეტროგრადიდან იტყობინებიან სერბეთის ფრონტზე მდგომარეობა მეტის-მეტად სერიოზული შეიქმნა. მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ბელგრად-ნიშ-კრაგუევაცას რკინის გზის ხაზი ხელთ იგდეს, ბერლინიდან კონსტანტინეპოლში განუწყვეტელი მიმოსვლა სწარმოებს. იმ მოსაზრებით, რომ სერბეთის ჯარი შერჩეს, ალბანეთისა და მთაშავეთისკენ იხევს. სერბები ბრძოლით იხევენ უკან.

— სერბები იმ იმედით იხევენ ალბანეთსა და მთაშავეთისკენ, რომ იქ იტალეთი მიეშველებოდა, მაგრამ იტალეთი ჯერ-ჯერობით ხმას არ იღებს და არც მონაწილეობას იღებს ბალკანეთის ბრძოლაში.

— იტალეთის მეფე სერბეთის მეფეს წინადადებას აძლევს, უკეთუ რომ გასაჭირი დაგადგა თავს, იტალეთს შემოეფარეო.

— დაიღუპა იტალეთის გემი „ანკონა" და „ამონ".

— ბულგარელებისგან შეპყრობილ რუსეთის გემს „ბელგრადს" სახელი გემოუცვლელს და „ვარნა" დაარქვეს.

— მოკავშირეებს რუმინებთან მოლაპარაკება აქვთ, მაგრამ, ამბობენ, ამით არაფერი გამოვა რაო და არც მოკავშირეებს მიემხრობაო. იმედი აქვთ, რუმინეთი ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

— გარეშე საქმეთა მინისტრი მეფის ბანაკში გაემგზავრა.

— „რეჩ"-ი სწერს: მდ. სტირის მიდამოებში პირველად მოიტანეს მძიმე ზარბაზნები. აქ მოპირდაპირეს მაშველი ჯარი გადმოუყვანია. რადგანაც მოპირდაპირემ გადმოიტანა მძიმე ზარბაზნები დვინსკის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და დრისვიატის მიდამოებში, ალბად აქ აპირებს ძლიერს შემოტევას სვენციანის მხრიდან.

**გალიციის ჯარი.**

„ვოლფის" სააგენტოს ცნობით გალიციის ჯარი კრუშევაცის წინ იმყოფება და სანჯაკს მიუახლოვდა.

— „დენ"-ის ცნობებით სახელმწიფო სათათბიროს 28 გიორგობისთვეს მოიწვევენ.

**ს ე რ ბ ე თ ი.**

პარიზიდან ცნობაა, რომ სერბებს უკან დახევის დროს, თან მიაქვთ მთელი სურსათი და იარაღი, გარდა მძიმე ზარბაზნებისა, რომლებსაც გაფუჭებულს სტოვებენ.

## შტაბის დეპეშები

**პეტროგრადი, 3 გიორგობისთვე. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი პრიპიატამდე ორს გიორგობისთვემდე აღსანიშნავი არა მომხდარა რა. სოფ. ცმისისა და ხრიასკის რაიონებში, სტირის გადასასვლელ ადგილებში, ბრძოლა გრძელდება.**

**კავკასიის ფრონტზე. ურმიის ტბის სამხრეთით რუსებმა გაჰფანტეს ქურთთა ბრბო, რომელსაც რეგულიარი ჯარი უმაგრებდა ზურგს.**

## ბრძოლის ველზე

თანდათან ირკვევა რაც რამ ფარული სამზადისი ხდებოდა იმ წვრილ-წვრილ შეტაკებების დროს, რასაც ადგილი ჰქონდა შლოკისა, ბაბიტისა, ოლაისა თუ სხვა რაიონში. როგორც მოსულ ცნობებიდან ირკვევა გერმანელებს მძიმე არტილერია ჩამოუტანიათ დვინსკის მახლობლად, სამხრეთ-დასავლეთით და დრისვიატის რაიონში და ამ ადგილებში მეომართა რიცხვი გაუდიდებიათ. ეს გარემოება მოწმობს გერმანელების განზრახვას სვენცენის მხრიდან გააძლიერონ საიერიშო ძალა და ბრძოლა გაამძაფრონ. ჩარტორისკის რაიონში, როგორც ამას თითქმის ყოველ დღე აღნიშნავს თუ ოფიციალი დეპეშა თუ კერძო ცნობები, გერმანელებს დიდძალი ჯარი შეუგროვებია, რომელიც სხვა და სხვა ადგილებიდან ჩამოუყვანია. ჩარტორისკის რაიონში უხვად ჩამოტანილი მძიმე არტილერია განაგრძობს თავის გამანადგურებელ მოქმედებას. როგორც 4 გიორგობისთვის დეპეშიდან სჩანს, სასტიკი ბრძოლა სწარმოებს მდ. სტირზე გადასასვლელად, სოფელ ცმინთან და ხრიასკთან; პირველი სოფელი ორი ვერსით არის დაშორებული სტირს, ხოლო მეორე—ერთი ვერსით. ამ სამიოდე დღის წინად ბრძოლა უფრო დასავლეთით სწარმოებდა სოფელ მედვეჟიესთან, რომელიც მდ. სტირზე ექვსი-შვიდი ვერსით არის დაშორებული. სჩანს, გერმანელებს წინ წაუწევიათ, რაკი მდინარეს ერთი ვერსით დაახლოვებიან.

როფალოვკასა და ჩარტორიისკს შორის ფრონტის გარკვევას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და ამიტომაც არის რომ აქ უმოწყალო ბრძოლა სწარმოებს, ეს რამდენიმე დღეა. დანარჩენ ფრონტზე არაფერი მომხდარა-რა ღირს შესანიშნავი.

კავკასიის ფრონტზე, ურმიის ტბის სამხრეთით რუსებს გაუფანტავთ ქურთები, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ოსმალთა რეგულიარი ჯარი.

**მეგრი.**

## ახალი ამბავი

◆ **კავკასიის მეფის ნაცვალმა** დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ შეიწყნარა შუამდგომლობა გუბერნიის მარშლის მოადგილის თ-დ მ. ა. სუმბათაშვილისა და დეპეშით გამოითხოვა საჭირო ვაგონები 120 ათას ფუთის ვენახების საწამლებელ ნივთიერებათა გადმოსაზიდად არხანგელსკიდან თბილისს.

◆ **ტრამვაი.** დირექციამ გუშინ ნაშუადღევს უკვე დააკმაყოფილა მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი, ასე რომ წესიერი მიმოსვლა დაიწყო.

◆ **თბილისს ჩამოვიდა** ამხანაგი რომანოვის სახელობის კომიტეტის გამგისა ვ. ვ. ნიკიტინი.

◆ **საქართველოს ექსარხოსს** მიტროპოლიტს ქართველ ინტელიგენციის ერთი ჯგუფი ხვალ, 6 გიორგობისთვეს, მიართმევს ოქროს პანაგიას ქართული ზეწარწერით.

◆ **ტრამვაის გარშემო.** ტრამვაის ახალმა მუშებმა მოსთხოვეს ტრამვაის ადმინისტრაციას, ჩვენც ისეთსავე პირობებში გვამუშავეთ, როგორშიაც ძველები მუშაობენო. ტრამვაის რწმუნებულმა ბ-ნმა რასინმა ამაზე უარი განაცხადა. 3 გიორგობისთვეს 67 მოსამსახურემ მუშაობა შესწყვიტა, რომელთაც რასინი დაემუქრა, სამსახურიდან დაგითხოვთო. იმავე დღეს რასინმა განცხადება გამოაკრა, თანახმა ვარ გავაუქმო წინანდელი განკარგულება, რომლის თანახმად ვატმანები და კონდუქტორები თავიანთ პირდაპირი მოვალეობის შესრულების შემდეგ, ვალდებული იყვნენ ერთი-მეორეს საქმე შეესრულებინათო, მაგრამ ეს განკარგულება უკანვე წაიღო რასინმა და იმის ნაცვლად მეორე განცხადება გააკრა, რომელშიაც ნათქვამია: ახალი ვატმან-კონდუქტორები, რომელნიც მიმდინარე წლის 22 მაისიდან არიან სამსახურში მიღებული სასწავლად, გათანასწორებულ იქნებიან ძველ მოსამსახურეებთან ყველაფერში, გარდა ტანისამოსის მიღებისა. მუშები ამით არ დაკმაყოფილდნენ და გადასწყვიტეს, არ იმუშაონ სანამ სავსებით არ დააკმაყოფილებს დირექცია მათს მოთხოვნილებას.

◆ **ქართველ ექიმთა მოწვევა.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებამ დაადგინა მოიწვიოს ამ მოკლე ხანში ქართველი ექიმები და მათთან ერთად გამოარკვიოს გეგმა სამკურნალო დახმარებისა ბათომისა და ართვინის ოლქებში.

◆ **ქალაქ. კავშირის ბიურო.** ა. ი. ხატისოვმა ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტისაგან კიდევ მიიღო 1.730 ათასი მანეთი. ახალი, მომავალი წლის, ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში კავკასიის ქალაქთა კავშირის ბიუროს მიღებული აქვს სულ 3.200.000 მანეთი და კიდევ უნდა მიიღოს 1.300.000 მანეთი.

◆ **ფქვილის გამოლევა თბილისში.** ქალაქის მოურავმა მიმართა გუბერნატორს, რადგან თბილისში ფქვილი ილევა, გვიშუამდგომლეთ საინტენდანტოსთან, რომ ქალაქს კიდევ ასესხოს ფქვილიო. წინად ქალაქმა იმავე საინტენდანტოდან 30.000 ფუთი ფქვილი ისესხა.

◆ **გადამდები სენი.** 4 გიორგობისთვეს ქალაქის საავადმყოფოში იწვა: ქუნთრუშიანი 120, სახადიანი 47, საოფლიანი 49, ხუნაგიანი 24, ყვავილიანი 5 და მუცელაიანი 5 კაცი.

◆ **ხოლერით** ავად არავინ გამხდარა. ლაზარეთიდან გამოეწერა 2 და ლაზარეთში იმყოფებოდა გუშინ 20 კაცი.

◆ **შრომის ბირჟაში.** ღვინობისთვის განმავლობაში შრომის მაძებართა რიცხვი უდრიდა 426 კაცს. (243 კაცი და 183 დედაკაცი) ეროვნების მიხედვით 207 რუსი, 106 ქართველი, სომეხი 65, ოსი 23, პოლონელი 16, გერმანელი 3, თათარი 6.

◆ **ტრამვაის მოძრაობა.** გუშინ მთელი დღე ნაკლები რიცხვი ვაგონებისა მოძრაობდა მთელ ქალაქში, რადგან დროებით 64 მოსამსახურემ უარი განაცხადა მუშაობაზე, დირექციის შემდეგ ახალ განკარგულებისა გამო. 2 გიორგობისთვეს, ე. ი. შეპირებულ ვადაზე ტრამვაის დირექციამ განცხადება გამოაკრა, რომელშიაც ამბობს, რომ ის თანახმაა აძლიოს მუშებს ომის დროს და ომის შემდეგ კიდევ ექვსი თვის განმავლობაში შემდეგი „პოსობიები": ვინც ღებულობს დღეში 70 კაპეიკიდან 1 მ. 5 კაპეიკამდე—40 კ.; 1 მ. 5 კ-დან 1 მ. 50 კ.-მდე—30 კ.; 1 მ. 55 კ.-დან 2 მანეთამდე—24 კ.; 2 მ.-დან 3 მ.-დე—17 კ. ამის შემდეგ ძველი „პოსობიე", რომელიც 22 მაისიდან ეძლეოდა ძველ მუშებს, ისპობა. ავადმყოფობის დროს და სხვა რაიმე მიზეზით გაცდენილ დღეებში „პოსობიე" მუშებს არ ეძლევა. მუშებმა ამორჩეულის პირით უარი განუცხადეს ამ მომატებაზე, რადგანაც ეს მეტად მცირეა და ოდნავადაც არ ფარავს ცხოვრების გაძვირებით გამოწვეულ საჭიროებას.

◆ **„პეტროგრადის კურიერის" დაკეტვა.** პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსის თავად თუმანიშვილის წინადადების თანახმად, მინისტრთა საბჭომ დაადგინა, მავნე მიმართულებისათვი გაზეთი „პეტროგრადის კურიერი" შეჩერებულ იქმნეს ვიდრე სამხედრო წესები არ მოიხსნება.

◆ **ტყვეულის დამუშავება.** რადგანაც ტყვეულობის რიცხვი რომელსაც რუსეთის საერობო კავშირი აგროვებს კავკასიის ასპარეზზე უდრის 20000 ცალს ყოველ თვიურად, ამიტომ საერობო კავშირმა დაადგინა გამოიყვანოს ეს ტყვეულობა ადგილობრივ თბილისში. ტყვეულობის რამდენიმე ქარხნის პატრონმა უკვე განუცხადეს თანხმობა საერობო კავშირს, დაუთმონ იჯარით თავიანთი ქარხნები.

◆ **გაჭირვება სოფლად.** როგორც ჩამოსულებმა გვიამბეს, ქსნის ხეობაში დიდ გასაჭირს განიცდის ხალხი საკვებსათესის უქონლობის გამო. თითო დღიურზე ორი ჩანახი ჰირნახულიც არ მოსულა, რომელიც ხელად დაიხარჯა და ეხლა ღვთის ანაბარად არის ხალხი: არც სათესი მასალა მოეპოვება და არც საკვები. ქართლის კოოპერატივთა ბიუროს ჯერ საკვები არსაიდან მიუღია, რომ ცოტა ხელი მოენაცვლა ხალხს.

◆ **ვაჟა-ფშაველას საღამო.** ქართულ კულტურის მოყვარეთა საზოგადოებამ დაადგინა ხარფუხის კლუბში მოაწყოს მგოსნის ხსოვნის პატივსაცემი საღამო. ფართო პროგრამით. სხვათა შორის ექიმი ივ. გომართელი წაიკითხავს მგოსნის შესახებ ლექციას. საღამო ამ თვის ნახევარში გაიმართება.

◆ **ლურჯბილეთიანები.** მოსკოვში გაიწვიეს მეორე ხარისხის მოლაშქრენი 1916 წლიდან 1910 წლამდე.

◆ **სათბობის გაძვირება.** მოსკოვში ქალაქის თვითმართველობაში პროფესორ ნოვგოროდცევის თავმჯდომარეობით გაიმართა საგანგებო თათბირი სათბობი მასალის გაძვირების თაობაზე, კერძოდ ნავთისაც. მომხსენებელი კაფენგაუზის აზრით, ნავთის ეხლანდელი ფასი არ შეეფერება არც შინაურ ბაზარს, წარმოების ხარჯს და არც გადაზიდვას. ფასს თავისს ქეიფზე თვით ნავთის მრეწველნი აწესებენ და ამიტომაც საჭიროა მთავრობამ მიიღოს ზომები ნავთის ფასის დასაწევად.

◆ **თავად-აზნაურთა** სადეპუტატო საკრებულომ 2 გიორგობისთვის სხდომაზე გაანაწილა 3000 მანათი სწავლის ფულად გადადებული საშუალო სასწავლებლების ღარიბ მოწაფეთათვის. კრებამ დახმარება აღმოუჩინა 80 მოწაფეს, ქალსა და ვაჟს.

◆ **სასულიერო სემინარიის** ინსპექტორი ა. პ. სმერდინსკი, რომელიც სტავროპოლის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად დაინიშნა, უკვე გაემგზავრა თვის ადგილზე.

◆ საერობო კავშირის კომიტეტის წევრად დაინიშნა მთავარი ბუხგალტერი ამავე კომიტეტისა ფ. გ. გოგიჩაიშვილი.

**შეცდომის გასწორება**

გუშინდელ მეთაურში დაბეჭდილია მესამე სვეტის მეორე სტრიქონში:

ეს მომენტი წმინდა ეროვნული მომენტისო... უნდა იყოს: ეს მომენტი წმინდა ეროვნული მომენტია.

ცოტა ქვემოდ: დაბეჭდილია, უჩვენოდ, გარეშე ქართველი ელემენტის სათანადო **პროცენტია**, თვინიერ ქართველი საზოგადოების...

უნდა იყოს: უჩვენოდ, **პროცენტისა**, გარეშე ქართველი საზოგადოებისა...

მეოთხე სვეტზე, ქვემოდან მე-11-ე სტრიქონში სიტყვა **ყურადღება** უნდა ასე იკითხებოდეს **ყურად ღება.**

## წარჩინება

წმ. ანას მეორე ხარისხის ჯვრით ხმლით და ბანტით იქმნენ დაჯილდოვებულნი ბრძოლის ველზე სიმამაცის გამოჩენისთვის შემდეგი ქართველნი ოფიცრები: 1) **გურგენიძე,** 2) **ხოფერია,** 3) **გობრონიძე,** 4) **ქავთარაძე,** 5) **ქოვშურიძე** და 6) **ნაჯარიშვილი.**

## ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებაში

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ 3 გიორგობისთვეს მოისმინა პ. ლ. მეძმარიაშვილის წერილი. ბ-ნი მეძმარიაშვილი ერევნის ნახიჩევანში და ახლო-მახლო ადგილებში მცხოვრებ ქართველების მინდობილობით სთხოვს გამგეობას, რომ გახსნას ნახიჩევანში საზოგადოების განყოფილება, რომლის უმთავრესი დანიშნულება იქნება ქონებრივი დახმარება აღმოუჩინოს მთავარ დაწესებულებას. ხსენებულ ადგილას დიდძალი ქართველობა ყოფილა. გამგეობამ დაადგინა ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილოს.

გამგეობამ აგრეთვე მოისმინა კვათანის (სენაკის მაზრა) 2 კლასიან სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს თხოვნა. საბჭო თხოულობს, რომ საქველმოქმედო საზოგადოებამ ერთდროული დახმარება აღმოუჩინოს სასწავლებელს, რომელშიაც 450 მოსწავლე ირიცხება და სასწავლებლის წლიური ხარჯი 5000 მანეთს უდრის. ეხლა სასწავლებლის ნივთიერი მხარე იმდენად შეირყა და სასწავლებელი ისეთ მდგომარეობაშია, რომ 200 მოსწავლე იძულებულია სწავლის ფულის შეუტანლობის გამო სასწავლებელი დასტოვოს და გარდა ამისა მასწავლებლები ჯამაგირს ველარ ღებულობენ. გამგეობამ სურვილი გამოსთქვა, დაეხმაროს მოსწავლეებს, სწავლის ფულის შეტანაში და დაადგინა მიანდოს სენაკის განყოფილებას, გამოიკვლიოს ხსენებული სკოლის მდგომარეობა.

## ვახტანგ მეფე და პეტრე დიდი

ისტორიული ამბავი რუს-ქართველთა დამოკიდებულობიდან.

**I**

**პეტრე დიდი კავკასიაში**

აი რა იყო საჭირო გარტინგის შეხედულობით კავკასიაში რუსეთის ძლიერებასა და კერძოთ საქართველოს დასაცავად საჭირო. ვოლინსკის მოეწონა ვახტანგის მოსაზრებანი და შეუთვალა იმპერატორს, ვახტანგის მოსაზრებანი საფუძველს მოკლებულნი არ არიანო და საჭიროა მათი მხედველობაში მიღებაო. ამასთანავე ვოლინსკი აცნობებდა, რომ ვახტანგის გარდა კავკასიის სხვა მფლობელნი სანდონი არ არიანო და არც ჰღირს მათთან დამოკიდებულების დაჭერა და დაახლოვებაო.

ვახტანგს ამის შემდეგ განახლების ფრთები ესხმის, ახალი სული ედგმის, საქართველოს საუკუნო მტერს ძლევამოსილი რუსეთი უნდა შესჭიდოს და რასაკვირველია იგი ამ ომში გამარჯვებული გამოვა და საქართველოსაც ეშველება. კარგა ხანია ირანის უღელი ადგია მის სამშობლოს, კარგა ხანია იგი სულით და გულით ქრისტიანი, იძულებულია მუსულმანობის მაღიარებელი იყოს და ქრისტიანულის სახელის მაგივრად სპარსული სახელი ჰუსეინ ყული ხანი ატაროს. იძულებულია გულში ჩაიკლას ბოღმა და მძულვარება იისლამი, ვინც ისე დაამცირა და მიწასთან გაასწორა მისი სამშობლო, მისი საყვარელი საქართველო.

და აი ეხლა დრო უდგება ამ უბედურებიდან გამოსასვლელად, მძიმე ბორკილის დასამსხვრევად და ისიც აღტაცებით ეგებება ვოლინსკის მოწოდებას. არ ვიცით დანამდვილებით რას დაჰპირდა ვახტანგს ვოლინსკი, რა ქათინაურები აღუთქვა, რადგანაც არც ერთს დღემდის გამოქვეყნებულს წყაროებში არსად არ შეგვხვდა ახალი ასლი ამ წერილისა, მაგრამ ეჭვი არ არის დანაპირები დიდი უნდა ყოფილიყო, რომ ვახტანგი ასე აღფრთოვანებია, ცას დასწევნია და მუსულმანთა უღელის სამუდამოდ მოშორება ისე ახლოს სჩვენებია, რომ ვოლინსკის გარდა ფიცხლავ კაცს ჰგზავნის პეტრე დიდთან და ასეთს ქებათა-ქებით აღვსილს წერილს უძღვნის.

„მივიღეთ რა სარდლისა თქვენისაგან წერილი, იმედი კვალად გაგვიცხოველდა და გაგვემტკიცდა, რომ ქრისტიანთა ახალი მფარველი აღარ დააყოვნებს ჩვენ ბედკრულთა დახმარებას. აღგვაფრთოვანა თქვენმა მოწოდებამ და მადლობასა ვსწირავ ზეციერს უფალს, რომლის ხელშიაც არის ბედი ყოვლისა ხელმწიფისა, იგი გზას გიჩვენებთ ჩვენდა სამოწყალოდ, რათა სამუდამოდ დაგვიხსნათ დაუძინებელ მტერთა და მოძულეთა ჩვენთაგან. წყალობითა ღვთისათა და შეწევნითა თქვენის ძლევა-მოსილის მხედრობისა დაითრგუნება მტერი და აღსდგება საქრისტიანო საქართველო" *).

აი ამ წერილით დატვირთული ბაადურ თურქისტანიშვილი უკვე კავკასიაში გამომგზავრებულს პეტრედიდს შეხვდა მოსკოვში 1722 წლის დასაწყისში. დიდის სიამოვნებითა და ყურადღებით იღებს ვახტანგის ელჩს პეტრე დიდი და თან მოჰყავს ასტრახანამდის, საიდანაც საქართველოში ისტუმრებს ისტრუქციებით დატვირთულს და თან წერილს ატანს მეფე ვახტანგთან 2 ივლისს 1722 წელს.

საინტერესოა წერილი პეტრე დიდისა და არ შეიძლება შემოკლებით მაინც არ მოვიყვანოთ იგი: „ჩვენ ეხლა სტარახანში ვართ და ვიდრე ეს წერილი თქვენამდის მოახწევს, იმედი გვმაქვს სპარსეთის სანაპიროებზედ ვიქნებით. გვგონია სასიამოვნოდ დაგრჩებათ ეს ამბავი და ვიმედოვნებთ აღთქმისამებრ ჯარებით დახმარებასაც გაგვიწევთ. საჭიროა, რომ თქვენის ეროვნების დანარჩენნი ქრისტიანენი, ოსმალეთის საბრძანებელში მყოფნი არ ამოძრავდნენ და არ შემოგვიერთდნენ, რათა მათ ოსმალეთის ყურადღება არ მიიქციონ და მათ გაჭირვებაში არ ჩაგვაგდონო" *) გარდა ამისა თურქისტანიშვილს ნაბძანები ჰქონდა სიტყვიერად გადაეცა ვახტანგისათვის, რომ უპირველეს ყოვლისა შეჰსეოდა ლეკებს, შეემუსრნა იგინი და შემდეგ ისე წამოსულიყო რუსეთის მხედრობასთან შესაერთებლად, რაიც წინდაწინვე უნდა ეუწყებინა.

ამ ხანებშივე მიიღო ვახტანგმა შაჰისაგან წერილი, რომელშიც სთხოვდა ჯარებით დახმარებას. როგორც ზევით უკვე მოვიხსენიეთ, სპარსეთი იმ ჟამად დიდს გაჭირვებას განიცდიდა. ავღანისტანის გამგე მირ-მახმუდი დიდძალის ჯარებით შემოესია სპარსეთს, ხელთ იგდო მრავალი მიწა-წყალი სპარსეთისა, მუსრი გაავლო სპარსეთის ჯარებს ყანდაგირში და შემდეგ თვით სატახტო ქალაქ ისპაჰანს ალყა შემოარტყა. საგონებელში ჩავარდგილიყო მთელი სპარსეთი, აუცილებელი დანგრევა მოელოდა იმას, თუ საჩქაროდ არ იქნებოდა საჭირო ზომები მიღებული. უძლური იყო სპარსეთი სხვათა დაუხმარებლად ჯეროვანი პასუხი გაეცა შემოჭრილის მტრისათვის და აი გაჭირვების დროს შაჰი საქართველოს სთხოვს ჯარებით დახმარებას, რისთვისაც დიდს საჩუქრებს ჰპირდება.

კოჯორში მყოფს მეფეს შაჰისაგან გამოგზავნილმა კაცებმა მიართვეს „ყეინისაგან თაჯი და ჯიღი, ხმალი და ხანჯალი და სპასპეტობა ადერბეჯანისა". *) გარდა ამისა მის შვილს ბაქარს კულის აღის თანამდებობა". **)

აი ყველა ამას ჰპირდებოდა სპარსეთი იმ საქართველოს, რომელიც ისედაც მოვალე იყო დახმარებოდა სპარსეთს, როგორც მისგან დამოკიდებული სამეფო. სპარსეთი თუ ემუდარებოდა, ეხვეწებოდა უფრო იმიტომ, რომ ქართველთა მამაცობას დიდი სახელი და ფასი ჰქონდა სპარსეთში. საოცარი გამბედაობა და გმირობა გიორგი XI და ქაიხოსროსი კიდით-კიდემდის იყო მოდებული მთელს სპარსეთში და თვით ავღანთაც, რომელსაც საშინლად ეშინოდათ ქართველებისა, პირობა ჰქონდათ თურმე მიცემული მირ-მახმუდთან, რომ გამოჩნდებოდა თუ არა ქართველთა ლაშქარი, მაშინვე ალყა უნდა მოეხსნათ ისპაჰანისათვის და უკანვე გაბრუნებულიყვნენ. აი ეს გარემოება უფრო აიძულებდა სპარსეთს ხვეწნა-ვედრებით მიემართნათ ქართველთა მეფისათვის *). სპარსეთში სწამდათ, სჯეროდათ, რომ მხოლოდ ქართველთა მამაც ჯარს შეეძლო ირანის ხსნა ამ მოზღვავებულ უბედურობისაგან.

ვახტანგს ორი გზა ედგა თვალწინ, ერთის მხრით რუსეთი საქრისტიანო ქვეყანა და ძლევა მოსილი მისი ლაშქარი, მეორე მხრივ ძველი ბატონი სპარსეთი, რომლის პროტექტორატობაშიც იმყოფებოდა იგი. რუსეთი ვახტანგს ლაჟვარდოვან იმედებს უცხოველებდა და მთელის საუკუნოებით შექმნილს სურვილს ქართველთა ხსნირს მუსულმანთა ბრჭყალებისაგან თვალწინ უყენებდა და ვარდ-ყვავილებით უფენდა გზასა. ამ აზრს უფრო ის უცხოველებდა, რომ სპარსეთი დანგრევისა და დამსხვრევის გზაზედ მიექანებოდა და მისი მთლიანობა უკვე ისპაჰანამდის გაზარულიყო. რუსეთის უეჭველი გამარჯვება სპარსეთზედ სწამდა ვახტანგს და ერთს წუთსაც არ ეფიქრებოდა, რადგანაც სპარსთა ლაშქარს დიაცთა მსგავსად ხდიდა.

მეტად მძიმე საკითხი ჰქონდა გადასაჭრელი ვახტანგს. საქართველო სპარსეთის დამოკიდებულობის ქვეშ იმყოფებოდა და იმისი არ დახმარება, როდესაც მეტროპოლიას ორივე მხრიდამ მტერი მოსდგომოდა და მის მთლიანობას საფრთხე მოელოდა, ვერაფერი მოსაწონი საქმე იყო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. თავი დავანებოთ იმას, რომ ჯარებით დახმარებას არ აძლევდა თავისს მეტროპოლიას, ის პირიქით სხვათა ბანაკში გადადიოდა და ეს ხომ თითქმის ღალატი იყო სპარსეთისა.

საქმე იყო მეტად საჭოჭმანები, სპარსეთი გაჭირვებაში იყო, ინგრეოდა, მაგრამ მეორე ძალაც ჯერ ხომ არ მოსულიყო, ჯერ ხომ ფეხიც არ შემოედგა კავკასიაში და ასეთს დროში სხვათა ბანაკში გადასვლა მეტად დიდი გაბედულობა იქნებოდა ქართველების მხრივ. საქართველო სასწორზე იდებოდა და საით გადასძლევდა, ძნელი გამოსაცნობი იყო. პირველი გზა მეტი სახიფათო იყო, მაგრამ ვახტანგი პირმშო შვილი იყო იმ დროისა, იმას სწამდა თავისს წინაპრებსავით, რომ საქართველოს ხსნა მარტოოდენ ქრისტიან სახელმწიფოს შეუძლიანო და იმდენად ვერ ამაღლებულიყო თანამედროვე გარემოებათა ზედა და ვერ შეეგნო, რომ ერთა შორის დამოკიდებულობაში სარწმუნოებრივმა საკითხმა დიდი ხანია ზღვათა უფსკრულში მიიძინა და დავიწყებას მიეცა.

(შემდეგი იქნება)

**ზ. ედილი.**

*) იხ. Переписка Груз. царей съ Рос. госуд. გვ. 138.

*) Соловьев. ტ. IV, გვ. 703.

*) იხ. ბატ. ვახუშტი „საქართველოს ისტორია" გვ. 126.

**) ბაქარამა დააპირა თურმე წასვლა, მაგრამ მამამ არ გაუშვა.

*) იხ. Аваловъ; присоединеніе Грузіи къ Россіи.

## საზოგადოებანი და კრებები

**ქ. შ. წ. კ. გ. საზოგ. გამგეობა** 3 გიორგობისთვეს შეუდგა საზოგადოების მოსამსახურეთა საპენსიო კასის წესდების პროექტის განხილვას.

**ქარ. ხას. სამ. საზოგადოების** საბჭოს დღეს საღამოს კრება ექნება. გასახილველია, საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებული, სამეურნეო გეგმა ილია ჭავჭავაძისეული საგურამოს მამულისა.

**ქართ. საქვ. საზ.** გამგეობამ 3 გიორგობისთვეს აირჩია სასურსათო კომისია, რომელშიაც წევრებად შედიან: თავ. მ. დ. ჭავჭავაძე, გ. ბ. გვაზავა, თავ. გ. ნ. დიასამიძე, გიორგი კახელაძე, ალ. ლორთქიფანიძე, დავით ჩხეიძე, ანანია გრიგოლია და საქვ. საზოგ. თავმჯდომარე და მისი ამხანაგი. როგორც ვიცით, ამ კომისიის მოვალეობაა, მოაწესრიგოს გამოკვების საქმე ომიანობისა, მოუსავლობისა და სხვა დ სხვა მიზეზთაგან დაზარალებულ ქართველ ხალხისა. იმავე გამგეობის დადგენილებით, ომისაგან დაზარალებულთა რაოდენობისა და მდგომარეობის გამოსარკვევად და აგრეთვე დახმარების ორგანიზაციის უკედ მოსაწყობად, ადგილობრივ განყოფილებათა და ძალების დახმარებით, დასავლეთ საქართველოში იგზავნებიან პავ. დ. საყვარელიძე და პეტრე ქავთარაძე, ხოლო ახალციხისა და ოლთისის მხარეს ალ. თ. ყიფშიძე.

---

კვირას, 8 გიორგობისთვეს დილის 11 საათზე სასწავლებლის სადგომში (ნვიატოპ.-მირსკის ქ., № 6). დანიშნულია საზოგადო კრება „განათლების“ საზოგადოებისა განსახილველი საგნები: 1) გამგეობის და სასწავლებლის ზედამხედველის მოხსენება, 2) სასწავლებლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, 3) პროფესიონალური სკოლის ანგარიში, 4) არჩევანი სამი წარმომადგენელისა ქართველთა-კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირში, 5) საკითხი ქალთა საოსტატო სემინარიის შესახებ 6) სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა, 7) არჩევნები: გამგეობის თავმჯდომარისა და მისი თანაშემწესი, ორი კანდიდატისა და ორი სარევიზიო კომისიის წევრისა.

## წერილი პეტროგრადიდან

### სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნები.

არჩევნები დასრულდა. კვლავ უწარმომადგენლოდ დავრჩით. არც ზედა და არც ქვედა პალატაში ჩვენი წარმომადგენელი არ არის. როგორც ობლად ვიყავით, ისევ ობლად დავრჩით.

განსაკუთრებით ზედაში ჩაგვიწყდა ხმა და ხსენებაც გაქრა ჩვენი.

კვლავად ზის მხოლოდ ერთი მატარებელი ჩვენი წარმომადგენლის სახელისა და მთელი თავისი მოქმედებით კი ჩვენი უარისმყოფელი.

მისი სახით ხომ ბედი დაგვცინის და ჩვენს უბედობაზედ ხითხითობს.

ამ პირის მოღვაწეობა ხომ დუმილით იხატება და მემარჯვენე ფრთის სამარცხვინო გამაგრებით.

ათასი კლიტე დაუდევს ბაგეთათვის და სდუმს ისეთ დროს, როდესაც გული ყოველი მგრძნობარე ქართველისა მით იტანჯება, რომ არ შეუძლია გამოთქვას თავისი მწუხარება, ჭირი და ვარამი და ის კი, ვის ხელშიაც არის უფლება ერის საჭიროების აღიარებისა, მიცვალებულის დუმილით სდუმს და თუ ხმას ამოიღებს არა ჩვენს სასარგებლოდ.

თუ იმდენი სურვილი არ შესწევს, რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს, მაშინ უქმად ადგილს რათ იპატრონებს და შეგნება ადამიანისა არ შთააგონებს, რათ არ განშორდება თბილ სავარძელს—ეს

რომ ჩემი სიტყვები საფუძველს მოკლებული არ არის, ეს უკვე გასულმა საბჭოს არჩევნებმა დაამტკიცეს.

რომ ნათლად წარმოვადგინოთ ამ პირის მოქმედება საჭიროა წარმოვიდგინოთ თუ რა გარემოებაში სწარმოებდა არჩევნების პროცესი და როგორი პოზიცია ეკავათ ჩვენს ამომრჩეველებს. ჩამოსვლისთანავე ისინი პროგრესიულ ბლოკში ჩაეწერენ, როგორც სახელმწ. საბჭოს მემარცხენე ფრთაში.

ბლოკი გულმხურვალედ დაუხვდა მათ და ყოველივე დახმარებას დაჰპირდა და მართლაც ერთ წუთსაც არ უღალატნიათ თავის დაპირებისათვის.

ჩვენი წარმომადგენლის წევრთა გაყვანა მთელი თავისი ძალით თავს იდვა ხსენებულმა ბლოკმა და ყოველ ღონისძიებას იღებდნენ, რომ რითაც შეეძლოთ მათ მოხმარებოდნენ.

ჯერ კიდევ წინასწარ თათბირზედ როდზიანკოსთან, თ-დმა მაჩაბელმა 25 ხმა მიიღო (თან 5 არჩევნების დროს ნათელ დემონსტრაციისათვის იყო შენახული, მაშასადამე 31), მაშინ როდესაც უმეტესი რიცხვი ხმებისა 27, ბლოკის ერთმა უმთავრესმა კანდიდატთაგანმა მუსინ პუშკინმა მიიღო.

ჩვენი სრული მორალური გამარჯვება ალარავისთვის საიდუმლო აღარ იყო და აშკარად სჩანდა, რომ ერთი ადგილი აუცილებლად მიკუთვნილი ქონდა ქართველ წარმომადგენელს. ეს იმდენად ნათელი იყო, რომ ყველანი გამარჯვებას ულოცავდნენ ჩვენს წარმომადგენელს.

არჩევნებში ბრძოლა ორ პირად იყო გაყოფილი: ერთის მხრით პროგრესიული ბლოკი როდზიანკოს მეთაურობით, რომელსაც ნაწილად მხარს უჭერდა ნეიდგარტის პარტია, ეგრედ წოდებული „ნეიდგარტისტები“ და მეორეს მხრით მემარჯვენენი—მარკოვ მეორეს მეთაურობით.

ყველაფერი წინასწარ გაზომილი და განზრახული იყო და არავის ეჭვი არ შედიოდა, რომ ბლოკის კანდიდატები აუცილებლად გავიდოდნენ. არჩევნების დღეს როზიანკონსთან მივიდა რწმუნებული „ნეიდგარტის ჯგუფისა“, (რომელთა შორის **იმყოფება** თ-დი ერისთავი, რომელიც ყველა მათ კერძო **თათბირში მონაწილეობდა**) და განუცხადა რომ მათი ჯგუფი მხარს დაუჭერს ბლოკის კანდიდატებს, მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი გაიყვანენ მათ ორ კანდიდატს და ქართველის კანდიდატურას მოხსნიან.

ყველანი განცვიფრებაში მოიყვანა ამ განცხადებამ, რადგან ვერავის ვერ წარმოედგინა რა უნდა ქონოდათ საქართველოს წარმომადგენლის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც ისინი მხარის დაჭერას პირდებოდნენ დონის ოლქის წარმომადგენელს (ბლოკის წევრს), რომელიც აგრედვე ტერიტორიალურ პრინციპს იცავდა.

ნათელი იყო რომ პრინციპიალურად უცხო ეროვნებების წინააღმდეგ არ ილაშქრებდნენ, მაგრამ მიზეზი ვერ გაეგოთ (ჩვენ კი ვიცით ძაღლის თავი სადაც მარხია!)

როდზიანკომ ბლოკის თათბირის შემდეგ განუცხადა „ნეიდგარდისტებს“, რომ ბლოკი თანახმაა მათ ორ კანდიდატს მხარი დაუჭირონ, მაგრამ ქართველის კანდიდატურას არ დაუთმობენ. ბრძოლა უკვე გამოცხადებული იყო, რადგან ასეთ პირობებზედ ვერც ერთი მხარე ვერ რიგდებოდა. „ნეიდგარდისტებმა“ ბლოკის წინააღმდეგ გამოილაშქრეს.

რასაკვირველია მაჩაბელი დამარცხდა, მაგრამ მასთან ბლოკის კანდიდატი მუსინ-პუშკინი და აგრედვე ნეიდგარდისტებიც.

მდგომარეობა საშიშ სახეს ღებულობდა, რადგან ორივე მხარეები შავდებოდნენ და ბოლოს მემარჯვენეები გადასძლევდნენ მაინც. და ბლოკი კიდევ კომპრომისზე წავიდა:

როდზიანკომ მიმართა „ნეიდგარდისტებს“ რომ ხელ ახალ კენჭის ყრაზე ისინი გაიყვანენ ორ გაშავებულ „ნეიდგარდისტს“, მხოლოდ უკანასკნელებმა მხარი დაუჭირონ ქართველს და ამ შემთხვევაში თანახმანი არიან რომ მხოლოდ ორი მათი კანდიდატი გასულიყო (სულ ქართველთან ერთად 3) მაგრამ მათ ამის გაგონებაც არ სურდათ და დაჟინებით მოითხოვდნენ მაჩაბლის კანდიდატურის მოხსნას.

ნათელი იყო, რომ არავითარი მოლაპარაკება სასურველ ბოლომდე არ მიიყვანდა,

ჩვენი ამომრჩევლები კერძოდ შეიკრიბნენ, განიხილეს არსებული მდგომარეობა და გადასწყვიტეს, რომ მაჩაბლის კანდიდატურა მოიხსნას, რადგან მისი გავლენა შეუძლებელია და თან მის გამო ბლოკის საქმესაც აფუჭებენ.

ამგვარათ მაჩაბელს მეორე ყუთი აღარ დაუდგეს. როდზიანკომ ბლოკის სახელით თავისი ღრმა მწუხარება განუცხადა ჩვენს ამომრჩევლებს და მათ საქციელს საჯაროთ რაინდული ქცევა უწოდა.

აი ასეთ მდგომარეობაში სწარმოებდა არჩევნების პროცესი.

დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება კაცს, რომ ნათლად გაარკვიოს ჩვენი დამარცხების მიზეზი და „ნეიდგარდისტების“ ფორიაქი, რომელთა შორის თ-დი ერისთავი დაუღალავათ მუშაობდა. დღეიდან მას მის უმოქმედობასთან და უსაქმობასთან ერის მოღალატის სამარცხვინო ლაქიც უნდა მიეკრას.

ალსანიშნავია აგრედვე, რომ ერთმა ჩვენმა ამომრჩეველმა გადუხადა რა მადლობა პროგრესიულ ბლოკს გრძნობიერ მიღებისა და მხურვალე თანაგრძნობისათვის განუცხადა მათ, რომ ჩვენებმა კარგად იციან ვინ მოქმედებდა მათ წინააღმდეგ, მაგრამ ეს შინაური საქმეა და მას სამშობლოში დაბრუნებისას გაუსწორდებიან.

ლევ. ჯ—ძე.

## დედაკაცი

მე ულვაშები იმიტომ მიყვარს,
ვაჟკაცის სახეს იგი უხდება,
მე ვაჟკაცობას ვეძახი იმას
თვისი ერისთვის ვინცა სწუხდება;
მაშინ შევეხო ვაჟკაცის ქოჩორს,
მაშინ ვეყნოსო თმათ სულნელებას,
თუ აღასრულებს ვაჟკაცი იგი
უუფაქიზეს ჩემს სურვილ-ნებას.
როცა ხელი ხელთ მავრა ჩაგჭიდო
და გიკოცნიდე მშვენიერს თვალებს,—
ყური დაუგდე დედაკაცის ხმას,
ყური დაუგდე რას დაგავალებს!
ვინ არის იგი, ქუდი რო ჰხურავს,
წელს იარაღი აუჩხერია,
ვინ არის იგი? ან საით მიდის?
ვისი გერი, ან ვისი შვილია!..
ვაჟკაცი?.. არა, ნუ დამაჯერებთ!..
ვაჟკაცი!—ვაჟკაცს იქით რა უნდა!
ვაჟკაცი თუა, ვერ დაინახა
თვის ქვეყანაზე მიყრილი გუნდა?
მოჯამაგირედ სხვასთან წადიო,
დედაკაცებმა ეს ურჩიესა?
თუ არა ჰკითხა დედას ან დასა
და სხვისად ჰკვდება ეს ურჩი, ესა!
დაიტირევით მათნო დიაცნო,
დაიტირევით თქვენი კაცები;—
ისე გადაჰყვნენ ბრძოლის ყიჟინას,
ვერ იცნეს თავის ქვეყნის მტაცები.
შენ ჩემო, ვიცი არსაით წახვალ,
ვიცი არ წახვალ, არ იწყობ ყიალს,
არ უღალატებ ერს დატყვევებულს—
ეზიარები სიმწარის ფიალს.
ეზიარები. გამწარებულმა
ან არ დაამხო მაშინ ფიალი,
მოიგონე და გაგამხნევებდეს
ჩემი ალერსი, ჩემი ტრფიალი!
ბედშავ სამშობლოს ბევრჯერ, მრავალი
უძლები შვილი გამოეთხოვა,
მაგრამ რაკი შენ აქ მეგულები
არ მინდა ცრემლი, არ მინდა გლოვა;
გმირთა სარდალო, მტერთა მზარაო!
გნახე, როდესაც იბრძოდი მარტო,
მაშინ ეროსი გამომეცხადა
და განმიცხადა: ჩვენ ერთნი ვართო.
ოდიდგან გეტრფი, ოდით მიყვარხარ,
ისე ფაქიზად და უმაღლესად,
ისე ფაქიზად... რომ არ ნახულა
და ვერცა ჰნახავს ვერავინ, ვერსად.

**ბაბილინა**

## გერმანიის იმედები

„ბერლ. ტაგებ.“-ში მოთავსებულია წერილი ცნობილ მეცნიერ-ეკონომისტ ლუი ბრეტანოსი. მოგვყავს დამახასიათებელი ადგილები ამ წერილიდან: „მე და ჩემს ამხანაგებს სასიამოვნოდ გვაოცებს, რომ შეუძლებელი შესაძლებელად გახდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ გერმანეთს ამდენ ქვეყნებთან მოუხდებოდა ომი, ვინ წარმოიდგენდა, რომ ომი ერთ წელიწადზე მეტს გასტანდა. ამისდა მიუხედავად გერმანეთი სახელოვნად გამოვიდა მოვლენილ განსაცდელიდან. პურიც საკმაოდ აღმოაჩნდა, ჯარის სამოსელიც, ლანდვერისა და ლანდშტურმის ჯარებმა ყოველ მოლოდინს გადააჭარბეს. მართალია მხოლოდ გერმანიის სოფლის მეურნეობა საკმარისი არ აღმოჩნდა ყოველ მოსალოდნელობისათვის და ეს ასე იქნება იმ დრომდე, ვიდრე ჩვენს ხელთ არის მხოლოდ გერმანეთის ხელში მყოფი მიწა-წყალი. აქამდის ჩვენი მეურნეობის ზრდით თავი მოგვწონდა, მოსავლის რაოდენობა მატულობდა; მაგრამ მიწის სიმცირე თანდათან საგრძნობელი ხდებოდა. 1878 წ. გერმანეთში დაუმუშავებიათ 36,726,015 ჰექტარი მიწა ე. ი. თითო მცხოვრებზე 0,83 ჰექტარი, ხოლო 1913 წ. დაუმუშავებლად 34,813,000 ჰექტარი ე. ი. თითო მცხოვრებზე მოდის უკვე 0,53 ჰექტარი. ცხადია საგაისოდ საქმე უფრო გართულდება. წარმოვიდგინოთ, რომ მეოცე საუკუნეში გერმანეთის მოსახლეობა ას მილიონზე ავა, დღევანდელი პოლიტიკა კი ნამდვილად აქეთაა მიმართული—მაშინ თითო მცხოვრებს დასამუშავებლად 0,38 ჰექტარი და შეჰხვდება.

გერმანეთის მიერ ეხლა დაპყრობილ ბელგიას და ჩრდილო საფრანგეთს თვითონაც უჭირთ თავისი მოსახლეობის გამოკვება. ავსტრიაც შემოზიდული პურით სარგებლობს და თითქმის უნგრეთის პურიც არა ჰყოფნის, პოლონეთი რომ ავსტრიას შეუერთდეს, ხოლო ავსტრია მეურნეობის მხრივ გერმანიასთან გაერთიანდეს, მაშინ პოლონეთს აღარ ეყოფა საკუთარი პური და რუსეთიდან შემოიტანს.

რუსეთი სულ სხვაა. იქ არის ლიტვა და ბალტიის სანაპიროები. იქ რუსეთის მთავრობის ცნობებით, რომელიც 1900 წელს პარიზის გამოფენაზე იყო წარდგენილი, კოვნის გუბერნიაში 1 ოთხკუთხ ვერსზე 44 ადამიანი მოდის, გროდნოს გუბ.—51, ვილნოს გუბერნ.—45, კურლიანდიაში—37, ესტლანდიაში—23. გერმანეთში კი—123 სული თითო ოთხკუთხ ვერსზე.

გერმანეთისათვის საჭიროა ლიტვა და ბალტიის მხარე, სადაც გერმანელი ახალშენები უნდა გაშენდეს.

## სოციალისტი მინისტრი

გედმა მინისტრობა იკისრა, მას პორტფელი არა აქვს და არც თუ რომელიმე მინისტრის მოადგილედ ითვლება. მაშასადამე, იგი უფრო მინისტრია, ვიდრე სოციალისტი, მთავრობის წრეში. ამის და მიუხედავად იგი კაბინეთის წევრად ითვლება, მინისტრთა საბჭოს წევრად. რას აკეთებს იგი? ან რა როლს ასრულებს? ან და აქვს კი რაიმე განსაზღვრული როლი?

როდესაც ეს კითხვა მისცეს თვით გედს როდესაც იგი მინისტრად დანიშნეს, მან განაცხადა, მინისტრთა საბჭოში ვიქნები რათა სოციალისტური თვალსაზრისი დავიცვა და ამ ომს ისე ვუყურო როგორც თავდაცვის ომს, როგორც ეროვნულ დამოუკიდებლობის, ეროვნულ ტერიტორიის მქომაგიო. იგი იმედს გამოსთქვამდა, ყოველთვის წინააღმდეგი ვიქნები ანექსიური ტენდენციებისაო. მაგრამ რაკი ლა ბრძოლა ჯერ კიდევ თავდაცვის ფაზას არ გასცილებია და ანექსიებზეც ფიქრი ნაადრევია,—გერმანელები ჯერ ხომ მაინც ფრანგთა ტერიტორიაზე არიან,—მაშინ ცხადია, გედი განსაზღვრულს როლს ვერ შეასრულებს. მაშ რას აკეთებს?

როგორც გადმოგვცემენ მასთან ახლოს მდგარი პირები, ის მუდამ „სდუმს“ მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვითომც გედს არავითარი გავლენა არა ჰქონდეს საზოგადო საქმის მიმდინარეობაზე. ამას შემდეგი მოსაზრებით ასაბუთებენ:

„უპორტფელოდ საბჭოში მხოლოდ ორი პიროვნებაა: გედი — პუანკარე. ერთს არ შეუძლიან კამათში მკვირცხლი მონაწილეობა მიიღოს როგორც ავადმყოფმა, ხოლო მეორე, როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტი, ვალდებულია ყოველი სიტყვა აწონილი ჰქონდეს და უნებურად უნდა ძუნწობდეს, რათა ზედ-მეტი არა მოუვიდეს რა. ამნაირად, მათ ერთი და იგივე ბედი ეწვიათ. უკიდურესი ოპორტიუნისტი და უკიდურესი დოქტრინერი ერთს ულელს მოჰყვნენ. საოცარია, განა? კონსერვატორი რესპუბლიკანური და ორტოდოქსალი სოციალისტი! მაგრამ ამ ომმა იმდენი რამ არია ერთმანეთში, რომ ეხლა გასაკვირველი არა არის რა. ამნაირად, ისინი დაუახლოვდნენ ერთმანეთს. პუანკარე დიდად აფასებს გედს, გედი აფასებს პუანკარეს, და არ არის არც ერთი საკითხი, რაზეც ორთავემ არ იმსჯელონ. და თუ რამ რეალური გავლენა აქვს პრეზიდენტს ომის მსვლელობაზე, ამის ერთი ნაწილი გედსაც ეკუთვნის. თუმცა ამ უკანასკნელს პორტფელი არა აქვს და საბჭოს კრებაზედაც სდუმს.“

ეს საანეკდოტო ამბავი, ფრიად დამახასიათებელი „უწმიდეს შეკავშირებისა“, რამაც შეაერთა, გააერთიანა საფრანგეთის ხალხი და ერთის ცეცხლით აალგზნო ეროვნულ თავდაცვისათვის. ვინ იფიქრებდა, რომ ბრიანი ოდესმე მაინც მინისტრთა საბჭოში სემბასაც გვერდზე მოისვამდა და ერთად იბჭობდა? ან ვინ წარმოიდგენდა რომ „სამშობლო დაკარგული“ ჰერვესაც კი ნაციონალისტი მინისტრები მოკრძალებით ჰკითხავდნენ ეროვნულ თავდაცვისათვის თუ რა ზომები მოენახათ?

განა გასამტყუნარნი იყვნენ ისინი, ვინც ამ გაერთიანებას სასწაულთ-სასწაულად სთვლიდნენ? მიუხედავად ეს სასწაული მაინც მოხდა, სამშობლოს თავდაცვა იშვა საფრანგეთისადმი უზომო სიყვარულით და თავისუფლების უსაზღვრო წყურვილით შემოსილი პატრიოტიზმი ბუნებრივია ერთ მიწა-წყლის შვილებისათვის, რომელთაც განსაკიდელი ელისთ...

და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ სოციალისტები არ უკადრისობენ ბრძოლის ველზე გასვლას, ლაშქარში ყოფნას, ქარხნებში, სადაც ასაფეთქებელ მასალების მზადებაში არიან და თავ-განწირვით მუშაობენ თავ-აუღებლივ, ვხედავთ მინისტრებად და ბურჟუაზიულ პარტიების გვერდით ერთად მომუშავეს. განა ეს იმას ნიშნავს, რომ აქაური სოციალისტები უარსა ჰყოფენ ძველს რწმენასა? რა თქმა უნდა, არა! მაგრამ მათ კლასიურ ქერქში მაინც გამოსჭვივის ეროვნული სულისკვეთება, რამაც ყოველისფერი ჩანთქა ამ ჟამად და ყველა აამხედრა უფრო **საგულისხმიერო** ინტერესების დასაცავად.

და აი სოციალისტები ამტკიცებენ ამ რწმენას, მუშათა ნდობას ალრმავებენ, მოუწოდებენ ყოველგვარ ძალღონის მოკრებას, რათა საფრანგეთი იხსნან დაღუპვისაგან. ამის გულისთვისაა სწორედ, რომ თვით უკიდურესი სოციალისტებიც კი ოდნავ საყვედურს არ უთვლიან მინისტრ-სოციალისტებს. ასეთს საქციელს, მათს ნაბიჯს თვით პრაქტიკული ცხოვრება სწყვეტს...

(რ. ვ.)

## სამხედრო ტყვეები

ჰააგის სამშვიდობო კონფერენციამ 1899 და 1907 წელს შეიმუშავა წესები ხამხედრო ტყვეთა შესახებ. უმთავრესი დებულება ამ წესებისა ამბობს: **სამხედრო ტყვე ექვემდებარება სახელმწიფოს და არა დამტყვევებელ პირს.** ტყვეებს ადამიანურად უნდა ეპყრობოდნენ. ტყვეების მოთავსება შეიძლება ქალაქებში, ციხე-სიმაგრეებში, სამხედრო ბანაკში და სხვა, მხოლოდ პირობას ჩამოართმევენ, რომ განსაზღვრულ ფარგალს არ გადასცდებიან. ტყვეების დატუსაღება უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება რაიმე საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

სახელმწიფოს უფლება აქვს ტყვეები ამუშაოს ოფიცრების გარდა. ამასთანავე სამუშაო მეტად სამძიმო არ უნდა იყოს და არც სამხედრო საჭიროებისათვის.

თუ მეომარ სახელმწიფოთა შორის განსაკუთრებული რამ შეთანხმება არ არის დადებული, ტყვეებს ისე ჰკვებავენ და ჰმოსავენ, როგორც დამტყვევებელთა ჯარისკაცებს. აფიცრებს იქ მიღებული ჯამაგირი ეძლევათ.

სამხედრო ტყვეები ემორჩილებიან დამტყვევებელ სახელმწიფოში არსებულ კანონსა და განკარგულებას. ტყვეები გაპარვისათვის მხოლოდ სადისციპლინო სასჯელს მოიხდიან.

სამხედრო ტყვე თუ გამოიპარა და ხელმეორედ ტყვედ ჩაუვარდა მტერს, გამოპარვისათვის არ ისჯება. ტყვეებს თავისუფლებას ანიჭებენ პატიოსან სიტყვის ჩამორთმევით.

ზავის ჩამოგდების შემდეგ ტყვეები რაც შეიძლება მალე უნდა დაუბრუნონ თავ-თავიანთ სამშობლოს.

არსებობს ტყვეების [illegible] ცნობათა მიმცემი ბიურო [illegible] და მოპირდაპირე სახელ[illegible] ჯარისკაცებზე [illegible]. ყოველი წერილი თუ ამანათი ეგზავნება ტყვეებს უფასოდ. (კლ.)

## მუსულმანთა ცხოვრება

ბათუმიდან „კასპს“ სწერენ: ბათუმში ბაქოდამ ჩამოვიდა ბაქოს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული ექიმი ხ. ჰ. სულტანოვი. იგი ბათუმის გენერალ-გუბერნატორ გენ. ლიახოვთან სადარბაზოდ იყო და განუცხადა: ჩვენი კომიტეტი მხოლოდ ქველმოქმედებას ემსახურება და ეცდება რაც შეიძლება ფართო დახმარება გაუწიოს ადგილობრივ მოსახლეობას, თუ საამისო დასტური ექნება. იგი ადგილობრივ ჩამოვიდა და გაეცნობა გაჭირვებულთა მდგომარეობას. გენერალ-გუბერნატორმა აღუთქვა ამ საქმეში ყოველმხრივ ხელის შეწყობა და ექიმ სულტანოვს დაავალა ყოველ საჭირო შემთხვევაში მას მიმართოს. ექიმმა სულტანოვმა ბათუმში შეიძინა 200 ფუთი შაქარი, 3 ფუთი ჩაი, 500 ფუთი ფქვილი და 100 ფუთი ბრინჯი. ეს ყოველისფერი ქვემო აჭარაში გაიგზავნა. დღევანდლამდე ამ კუთხის გაჭირვებულთ დახმარებას უწევდა ქართველი საქველმოქმედო საზოგადოება.

---

მოსკოვიდან იწერებიან: მოსკოვში ბეჭდითი სიტყვის დღეს შეგროვილ ფულიდან მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ გადაიდო 3000 მანათი, გამოქცეულთა დასახმარებლად.

## სომეხთა ცხოვრება

უმაღლესად ეპატია სასჯელი და რუსეთის საზღვრებში ცხოვრების ნება მიეცა „დაშნაკცაკანთა“ 24 წევრს: ანაიტ ფარსადანიანს, შამირ გეორგიანს, სიმონ ბეკიანს, სიმონ გრუზინიანს, სიმონ ეგიაზარიანს, ჰაკი ყაზარდუზიანს, ხაჩატურ კევორკიანს, ბარეგ აკოპიანს, მელკუმ ტერ-ოვსეპიანს, ექიმს ნ. ტერ-ტოვმასიანცს, პოღოს ტერტერიანს, ტიგრან ალამალიანს, ოვანე ბოიაზიანს, არამ მოშიანს, მანუჩარ პაპიანს, ოვ. პარვანიანს, ინჟენერ კაჩაზნულს, გარეგინ გევორკიანს, ავეტიკ ისაკიანს (პოეტია), თავ. იუსუფიანს, ავეტიკ აზატიანს. (ორიზ.).

## პროვინციის ქრონიკა

### ქუთაისი.

ქალაქში ცუდი ამინდები სდგას. ყურძენი ქალაქში ძლიერ ცოტა შემოდის, ფუთი ყურძენი ამ ჟამად 7 მან. 50 კაპ. ფასობს. ქუთაისის პოლიცმეისტერის ინიციატივით აქ არსდება თავისუფალი ცეცხლის მქრობელთა რაზმი.

— ქუთაისის სახაზინო პალატიდან დაითხოვეს „ნადვორნი სოვეტნიკი“ ეგოროვი, რომელმაც ქუთაისის ცხოვრებთა სიაში შეცდომით ჩასწერა 28 ებრაელი.

— ფართლეულობის ფასი ქუთაისში უფრო შელავათიანია, ვიდრე თბილისში. მეეტლებმა ფასს მოუმატეს.

### დ. აბაშა.

27 წარსულ ღვინობისთვეს კოოპერატიულმა საზ. „განახლებამ“ მოახდინა წინასწარი ყრილობა, სადაც დაადგინეს საზოგადოებამ გახსნას კოოპერატიული ფურნე და შემდეგში იზრუნოს სხვაგვარი განყოფილებაც მიუმატონ.

### დ. საჩხერე.

საჩხერის მიდამოებში წვრილ ყაჩაღთა და მძარცველთა ბრბო გაჩენილა, რომელიც ხალხს თავზარს სცემს. საჩხერის სამკითხველო მეტად ცუდ მდგომარეობას განიცდის, სამკითხველოს ორი გაზეთის მეტი არ მოსდის, საჩხერლები სამკითხველოს საკეთილდღეოდ ნაკლებ ზრუნავენ.

### სოფ. დარჩელი (სამეგრელო).

წელს სხვა მრავალგვარ გაჭირვებასთან ერთად აქაურებს თავს დაატყდათ მეორე, დიდი უბედურება. მდინარე ინგური ადიდდა, ნაპირებს გადმოვიდა და წაჰლეკა ისედაც უვარგისი ყანები. 27 ღვინობისთვეს აქ მოხდა ოცისთავთა არჩევანი დამშეულ ხალხისთვის სურსათ-სანოვაგის საქმის მოსაგვარებლად.

### ა რ თ ვ ი ნ ი.

ძალზედ აცივდა, მაღლობი მთები ჩამოთოვილია.

### ფ ო თ ი.

მარგანეცის საქმეს ამ ბოლო ხანს გამოცოცხლება დაეტყო. ადგილობრივ სადგურებიდან გაიყიდა ხუთასი-ათასი (500,000) ფუთი შავი ქვა, აწეულ ფასებში.

— ქალაქში დიდი ფქვილის ნაკლულევანებაა.

**ველისციხე.**

ხურდა ფულის „მოსპობა“ ჩვენს სოფელსაც ეწვია, სპილენძის და ვერცხლის ფული კარგა ხანია აქ ხმარებიდან გადავარდა. სხვა და სხვა საჭირო სანოვაგე ძლიერ გაძვირებულია.

**შორაპანი.**

3 გიორგობისთვეს, საქონლის მატარებელის ერთ ვაგონს ცეცხლი გაუჩნდა, ცეცხლი ბენზინს წაეკიდებია.

**ბ ა ქ ო.**

28 ღვინობისთვეს ბაქოში მოვიდა 95 ვაგონი შაქარი „კავკასი და მერკურის“ სახელობაზე, ვაგონები ჯერ ვერ დაუცლიათ, რადგან ხსენებულ საზოგადოებას თავისუფალი საწყობი არ მოეპოვება.

**ნიგოითი.**

წარსულ თვეში ლანჩხუტის ბოქაულის თანადასწრებით შესდგა სასოფლო ყრილობა. ყრილობაზე გამოირკვა, რომ ნიგოითის საზოგადოება წელს გასულ წლებზე უფრო დამშეულა, რის გამოც აუცილებლად უნდა იშუამდგომლოს საიმპერიო სასურსათო თანხის წინაშე, რათა დახმარება მიეცეს. ბოქაულმა სოფლელებს დაავალა თვითეულმა საზოგადოებამ ცალ-ცალკე შეადგინოს, დამშეულთა რაოდენობა და განაჩენი.

**დ. ჩხარი.**

აქეთ ხეტყის დიდი სიძვირეა, ურემი შეშა თუ წინად 2 მანეთად ღირდა, დღეს 8 მანეთად ფასობს. გირვანქა პური აქ 7 კაპ. ღირს, ხურდა ფული არც აქეთ იშოვება. ზამთრის სიცივეები აქეთ უკვე დაიწყო.

**დ. სამტრედია.**

ადგილობრივი კოოპერატული დუქანი სასურველად მუშაობს. ხურდა ფულის უქონლობისა გამო მცხოვრებნი დუქნებში 5 კაპ. მაგივრად 3 მან. სტოვებენ, და მერე ნელ-ნელა ჰხარჯავენ დატოვებულ ფულს; ეს მოვლენა ხშირად დიდ უსიამოვნებას იწვევს, რადგან ერთმანეთს ეუბნებიან: „შენ ამდენი გაქვს წაღებული, არა, ჩემი ფული შენთან კიდევ ამდენი და ამდენია დარჩენილიო.

# პროვინცია

**ს. ჯუგაანი** (სიღნაღის მაზრა). ჩვენი ჯუგაანი კარგად მოზდილი სოფელია; გვყავს მამასახლისი, სოფლის მოსამართლენი, გვაქვს სამმართველოს შენობა, რომელიც ქიზიყში ცნობილია სამაგალითოდ. რაც შეეხება სოფელს განათლების მხრივ, უნდა ითქვას, რომ ქიზიყის სხვა სოფლებს არც ამაში ჩამოუვარდება. აღებ-მიცემობაც ფხიზლად სწარმოებს მახლობელი ბაზრობის (იარმარკის) და წნორის წყლის სადგურის წყალობით.

სოფელში ირიცხება 700 კომლამდე. გვაქვს ერთი ეკლესია, რომლის დღეობა, 7 მაისობას, დიდ ხარჯს იწვევდა. ეხლა ზოგი თუ განათლებამ, ზოგიც უქონლობამ და ამ წლის მოუსავლობამ მოგვასპობინა სამუდამოდ. ნიშნობა-ქორწილის და ქელეხის დიდი ხარჯებიც საგრძნობლად შემცირდა.

აგრეთვე გვაქვს სამი სკოლა სამის მასწავლებლით, მაგრამ მაინც არ გვყოფნის და ბევრი შეგირდი გარედ რჩება უსწავლელი ორივე სქესისა. გვაქვს სამკითხველო, რომლითაც ხალხი საკმაოდ სარგებლობს და სადაც ყველანი ხალისით დაიარებიან. აგრეთვე არსებობს შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, სადაც 500 წევრია. ამ დაწესებულებას ყველა დიდის ალტაცებით ეპყრობა და მისგან დიდს იმედებსაც მოელიან. ამ წელში საზოგადოება დიდ შიმშილს განიცდის. ყველამ ამ წლის მოსავალი უკვე შემოაქუჩა და ეხლა ცხადად დაინახა, რომ არც საკმაო საჭმელ-სასმელი და არც მომავლისთვის სათესლე არ უჩანს.

წარსულ თვეში მამასახლისმა სასოფლო ყრილობაზე, კვირა დღეს, გამოგვიცხადა: მესამე ნაწილის შუამავლისაგან ნაბძანები მაქვს, ამ წელში მალაზიის სოფლის ფული, პურის მაგიერ, უნდა გადაიხადოს თითო სულმა ექვსი შაური. წელიწადში ძველი წლებისაც და ახლისაცო; რვა თუ ცხრა წლის განმავლობაში ეს ფული არ გადაგვიხდია და ეხლა რამდენიმე ათას მანეთს შეადგენს. ამ ამბავმა საზოგადოება დიდად შეაწუხა. ამ მძიმე დროში ეს სასტიკი მოთხოვნილება რა გზით უნდა დააკმაყოფილონ? რამდენიმე წუთის კამათის შემდეგ დაასკვნეს: რადგან მოუსავლობამ წაგვლეკა, სარჩოსაბადებელი წელს არ მოგვეპოვება როგორც პურისა ისე ღვინისა და ათასნაირი მოთხოვნილება კი არის და არც ის ჩვენი მარჩენალი შვილები გვყავს აქ—ეთხოვოს, სადაც ჯერ არს, ჩვენივე შუამავლის დახმარებით, რომ წელს გვადროვონ და მომავლისთვის გადვიხდითო. სთხოვეს მამასახლისს ეს განაჩენი ორიოდე სოფლის წარმომადგენელთან ერთად წარედგინა შუამავლისთვის და ეუწყებინა საზოგადოების ყოველივე დღევანდელი გაჭირვება. მეორე დღესვე ესეც მოხდა. სამწუხაროდ, ბ-ნმა შუამავალმა ი. ჭყონიამ არ შეიწყნარა დეპუტაციის მოხსენება. მაშინათვე მიაშურა კალამს ხელი და დააწერა განჩინების წიგნს: ჩემის მხრით უკანონოდ ვთვლი ამ განაჩენს, ყრილობაზე არ არის დადგენილიო! ეხლა აღარ ვიცით, ამ სოფლის ფულს ძალით გადაგვახდევინებენ თუ შეგვიწყნარებენ! საჭიროა კი ამ წელში ხალხის შველა.

რაც შეეხება არა მკითხე ჩვენს ჯიბეში ხელების ტრიალს, სიღნაღიდგან დედოფლის წყარომდე გზის გაყვანას, ამას წინად გაზეთებშიც იყო მოთავსებული. ამაზედაც ხალხის დავალებით რამდენიმე პირმა მივმართეთ შუამავალს გაგვეგო საქმის ვითარება და გადაგვეცა საზოგადოებისთვის შინაარსი, მაგრამ აქაც ბედმა გვიმტყუნა, რაღაც უკმაყოფილების ცქერით დაგვითხოვა და არც დარიგება მოგვცა. ჩვენი პატივცემული მამასახლისი დაბრუნდა სოფელში და სამს დღეში ხალხს ზურგზედ ბოლი აადინა, სტრაჟნიკების და იასაულების დახმარებით. ნამეტნავად „ზაპასების“ უმწეოდ დარჩენილი ცოლ-შვილი შეწუხდა, იმ „ზაპასების“ ცოლ-შვილი, რომელთა ქმრებიც მეხუთმეტე თვეა სისხლის მორევში დასცურავენ.

სიღნაღის სამაზრო მართველობაში ბევრით შეშის მიტანამ ხომ გაგვაწყალა, „სტრაჟნიკები“ დაგვესიეს და მეურმეები ძალით გაიყვანეს. განა ჩვენი მოვალეობაა პოლიციას შეშა ვუზიდოთ ბევრით? აქაც საყვედურით მივმართავთ მომრიგებელ შუამავალს. არ გვიწინამძღვრებს და უსამართლო ბეგრიდან არ გვიხსნის—სხვას ვის მივმართოთ?

როგორ გამოვასწოროთ ჩვენი დაღუპული საქმე? რა ვუწამლოთ სიღნაღიდან თუქურმიშამდე გაყვანილ გზას? საჭირო არის დაინიშნოს უმაღლესი მთავრობისაგან „ჩინოვნიკი“, ქიზიყის შეერთებული თხოვნით და შუამავლის მეთაურობით. ყოველ სოფელს ეკითხოს: ვინ შეცვალა ბეგარა ფულზედ? გზაზე რად ამუშავეს ტუსაღები, როცა ჩვენ თვით შეგვეძლო გზა კარგად გაგვეკეთებინა? გაეწიოს ანგარიში—მართლა საჭირო იყო ამდენი ფული თუ არა?

ამ ერთი კვირის წინად მამასახლისი თავის ხარჯის ამკრეფით და გზირებით დარბოდნენ ცხენებით სოფელში კარდაკარ, ვენახებში და სოფლის ბოლოს ჯაგებში მომუშავე ხალხთან და ხელს აწერინებდნენ წიგნიანსა და უწიგნოსაც რუსულ სათაურიან ქაღალდზედ, რომ ჯუგაანს ისევ უნდა შემოუერთდნენ ამ სამი-ოთხი წლის წინად განაყარი სამამასახლისო სოფლები ტიბაანი, პრასიანი, ოზაანი და კოტაანიო და ისევ ერთი მამასახლისი გვეყოლებაო! ამაზედ ყველამ ხელი მოაწერა მამასახლისის ბრძანებით, მაგრამ ხალხში მღელვარება ჩავარდა: ეს რა ამბავია, რა ღვთის წყრომაა, რომ ასე დაარბენინებენ ამ ქაღალდსაო? შემდეგ გამოირკვა: თურმე ეს განაჩენი ყოფილა, რომ უერთებენ დიდ ჯუგაანს პატარა სოფლებს: ტიბაანს, პრასიანს, ოზაანს, კოტაანს, შუამავლის მოწერილობით და უნდა დაერქვას ხუთ სოფელს ხირსის საზოგადოებაო! ბატონებო, მთავრობა თუ საჭიროდ სთვლის რაიმე საკეთილდღეოდ შეერთებას, ის მოთხოვნილებაც ხომ არ არის მოწერილობაში გატარებული, რომ ძველი სახელი ჯუგაანის საზოგადოებას წაართვით და ახალი წყლის სახელი „ხირსის საზგადოება“ უბოძეთ? რა საჭიროება მოითხოვს გამოცვლას! რატომ არ შეეკითხნენ ჯუგაანს, ან რატომ ყრილობაზედ არ იქმნა ეს საკითხი აღძრული? განა შეიძლება ჯუგაანს ისტორიული საყვარელი სახელი წაართვან და უწოდონ ხირსის საზოგადოება? ეს ხომ უსამართლობა იქნება. ტიბაანში არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობს ტყე-ღრეს გარდა: და ერთი მონასტრისა, მაგრამ მონასტერი აქ რა შუაშია: აქედამ და 60 კომლიან ს. ქედელში. წმ. ნინოს მონასტერი არის, მაშ 1000 კომლიანი ბოდბექედელს მივაწეროთ და ქედელის საზოგადოება ვუწოდოთ? ვიცი, ამ საქმის ჩამდენს ჩვენს მამასახლისს და მის მომფიქრებლებს არ ეამებათ, მაგრამ რა უყოთ? როგორც ეს საქმე გადაიქნეს, ისევე გადმოქმნან! ჯუგაანი არას გზით არ დასთანხმდება რომ სახელი შეუცვალონ. ასეთს უსამართლო გარემოებას ვთხოვთ შუამავალმა ყურადღება მიაქციოს!

**გლეხი მეგუთნე.**

— —

**იმერეთი.** შემთხვევა მომეცა საკუთარის თვალით მენახა და გამეცნო იმერ-საქართველოს რამდენიმე სოფლის დღევანდელი მდგომარეობა.

დღევანდელი სოფლის გაჭირვება მარტო შიმშილობით არ განისაზღვრება. მართალია დღეს უპირველესი და უმკაცრესი საკითხი **შიმშილობაა**, მაგრამ არც სხვა მხრივ აყრია სოფელს ხეირი.

გაჭირვებული სოფლელები კვირა დღეობით იკრიბებიან და ჰსურთ სხვა და სხვა ქალაქებში წავიდნენ სამუშაო საქმის საძებნელად.

რასაკვირველია ეს აზრი არ არის ურიგო, მაგრამ დღევანდელ სიძვირეში სოფლელმა განა იმდენი რა უნდა იშოვოს გადაღმა მუშაობით, რომ მით თავის-თავიც დაიკმაყოფილოს და მშიერ ცოლშვილსაც მიეშველოს? ჩვენს სოფლელს, რაც უნდა მუყაითი მუშა იყოს, დღის გასამრჯელოში 1 მ. 20 კ. ან 1 მ. 60 კ. მეტს არვინ მისცემს. ახლა გავითვალისწინოთ რა დაუჯდება ცხოვრება, იანგარიშეთ კიდევ ბინა და მაშინ სოფლელს თავის ნაშრომიდან არამც თუ რაიმე ფული გადარჩება ცოლშვილის გასაგზავნად. პირიქით თვითონაც არ ეყოფა.

რა ზომა უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენი გლეხი შეჰყურებდეს თავის შრომას, მუყაითად და იმედით მუშაობდეს და ნამუშევრიდანაც სათანადო სარგებლობას იღებდეს. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს შესაფერისი აზრი. უნდა გაუმჯობესდეს დღევანდელი სოფლის მეურნეობა, რომ გლეხს თავის ნაშრომი ღირსეულად დაუფასდეს, უნდა ვეცადოთ, სოფლელებს შევაგნებინოთ ცხოვრების გამაადვილებელ საშუალებათა შემოღება, მეტი ყურადღება მივაქციევინოთ წვრილ კრედიტს—კოოპერაციისადმი, შევაყვაროთ გულ-აცრუებულ სოფლელს ისევ თავის დედულ-მამულზე მუშაობა და მაშინ უთუოდ მიზანსაც მივაღწევთ.

**ი. იმერელი.**

# უცხოეთი

**ახალი ავტონომიური ქვეყანა.**

რუსეთ-ჩინეთის შეთანხმების ძალით ჩინეთმა სრული ავტონომია მიანიჭა ბარგის მხარეს (გარე მონგოლეთი). სასამართლო, პოლიცია, სავაჭრო-სამრეწველო დამოკიდებულება მთლად ჩამოერთვა პეკინის მთავრობას. ყველა ამას თვითონ ბარგა მოაწესრიგებს ჩინეთის მთავრობის ჩ-ურევლად. მას უფლება აქვს საკუთარი ჯარი იყოლიოს, რომლის მომწესრიგებელიც თვითონვე იქნება. ის რომ ბარგა მხოლოდ სიუზერენულად იქნება დამოკიდებული ჩინეთის მთავრობისაგან. პეკინში ბარგას ეყოლება საგანგებო რწმუნებული ჩინეთის ცენტრალურ მმართველობაში, ხოლო ჩინეთს ბარგაში ეყოლება უმაღლესი კომისარი.

ასეთი ავტონომია მიენიჭა ბარგას რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულობით.

# დეპეშები

**პარიზი,** 2 გიორგობისთვე. არტუაში საარტილერიო ბრძოლა გრძელდებოდა. ქვეითა ჯარს მონაწილეობა არ მიუღია. ლაბირინტში ბრძოლის დროს (1 გიორგობისთვე) ჩვენს თხრილებთან დავთვალეთ 219 გვამი. სუასონის რაიონში, ბერი-ო-ბაკას მიდამოებში, აგრეთვე არგონებში საარტილერიო სროლამ სასტიკი ხასიათი მიიღო.

**ბალკანეთის ფრონტი.** რაბროვოს რაიონში და კრივოლაკის მიმართულებით 31 გიორგობისთვეს დრო-გამოშვებით საარტილერიო სროლა ხდებოდა. სასტიკი ბრძოლა მოხდა მდ. ცრონიზე, სადაც ბულგარებს ეხლაც იერიშები მოაქვთ. ჩვენი ჯარები ნელნელა უერთდებიან სერბებს პრილეპის რაიონში.

**დარდანელში სამხედრო მოქმედების შესახებ.** 17 ღვინობისთვიდან მოყოლებული 2 გიორგობისთვემდე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ოსმალთა არტილერია და ქვეითი ჯარი დრო-გამოშვებით დიდს მოქმედებას იჩენდა. ორივე მხარემ განაგრძეს ზურგის გამაგრება და დღეს სანაღმო მუშაობის მეტი არა ხდება რა. ჩვენ ყოველ ღონესა ვხმარობთ ოსმალთა მუშებს ხელი შევუშალოთ. ინგლისელთა მონიტორები ზღვაში გავიდნენ და გალიპოლს დაუწყეს სროლა.

**ჰავრი,** 2 გიორგობისთვე. ბელგიის უწყება. საარტილერიო ბრძოლა გრძელდება განსაკუთრებით უნიონის ფერმასთან, რედესკერკთან, შორბაკესთან, ლეტენბურგთან და სხვა.

**რომი,** 2 გიორგობისთვე. ლედსოს ღელეში გაძლიერებული მომზადების შემდეგ მტერმა სასტიკი იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. კონკაბეცეკის ჩრდილოეთით. 31 ღვინობისთვეს მოგერებული იერიშები 1 გიორგ თვეში განაახლეს. კირსოსთან საარტილერიო სროლა მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა. მტერმა შეუწყვეტელი ქარიშხლისებური ცეცხლი გაუჩინა „ფრასკეს“, რათა იქიდან ჩვენი ქვეითი ჯარები ამოერეკნათ, მაგრამ სარდინელებმა სახელოვნად მოიგერეს მათი იერიშები, შემდეგ თვითვე გადავიდნენ კონტრ-იერიშზე და 278 კაცი წამოიყვანეს ტყვედ, რომელთა შორის 11 ოფიცერია.

**პეტროგრადი.** 2 გიორგობისთვე. უმაღლეს ბრძანებით გამოქვეყნდა ხუთ. ნახ. პროც. მოკლე ვადიან ერთმილიარდ სესხის აღება. ამ ვალზე ხელს მოაწერენ საჯაროდ კანტორებსა და სახემწიფო ბანკების განყოფილებაში, ხაზინებსა და შემნახველ გამსესხებელ კასებში, წვრილ კრედიტთა ამხანაგობასა და სხვა კერძო დაწესებულებებში.

**პარიზი,** 2 გიორგ. გერმანელთა ჰაეროპლანებიდან დიაუნკერკის მიდამოებში ყუმბარები ჩამოჰყარეს. მცხოვრებთა მეტი სხვა არავინ დაუშავებია.

სპარსეთის ელჩი უარს ჰყოფს, ვითომც სპარსეთიდან ბელგიელი მოხელეები გაერეკოთ და მათს ადგილას გერმანელები ჩაეყენებინოთ.

# წერილი ლონდონიდან

ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარებისათვის ფრიად საჭირო საკითხს შეადგენს, თუ რა სათბობი მასალა უნდა ვიხმაროთ.

ჩვეულებრივად სათბობ მასალად ხმარობენ: შეშას, ქვანახშირს, ლინიტს, ტორფს, ნავთს და ყოველივე სხვა მასალას, ზემოდ ჩამოთვლილ ნივთიერებათაგან წარმომდგარს.

ამ მასალებში, როგორც ენერგიის წყარო, ყველა ერთნაირად ადვილი გამოსაყენებელი არ არის ჩვენში, ნამეტნავად წვრილ მრეწველობაში, ამის მიზეზი ორია: ან საწვავ მასალის სიძვირე ან და პირველ მოწყობილების სიძვირე (მაგ. მანქანები).

შეშა ჩვენში ყოველწლივ ძვირდება, რადგან დიდძალი ტყეები ან სულ გაჩეხილია ან არა და ძლიერის სიჩქარით იჩეხება. სამწუხაროდ ტყით სარგებლობის კანონები კავკასიის მხოლოდ რამდენიმე ნაწილში შემოიღეს და ისიც გვიან. ზოგ ადგილებში ასეთი კანონები სრულიად არ არის შემოღებული.

ქვანახშირი მოგვეპოვება ძლიერ ცოტა, ტყვიბულში და ტყვარჩეში, რაიცა საკმარისი არ არის შესამჩნევი მრეწველობის განსავითარებლად. რუსეთიდან მოტანა კი ძლიერ ძვირი ჯდება.

ამას გარდა ქვანახშირით გასახურებელი ქვაბები და მთელი მათი მოწყობილება ძვირი ჯდება და მხოლოდ დიდი ქარხნებისათვის არის ხელსაყრელი.

ლინიტი და ტორფი საექსპლოატაციოდ ჯერ არც კი მოგვეპოვება.

ნავთი კი (გაწმენდილი და გაუწმენდელი, მაზუთი), ჩვენი ბუნების უხვი ნაყოფია. ბაქო დღეს მთელს ქვეყანაზე უდიდეს ნავთის წყაროებით არის განთქმული, ამას გარდა ნავთის წარმოება განვითარებულია ჩრდილოეთ კავკასიაში (გროზნასა და მაიკოპში). ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში კი ნავთის ძიება დაიწყო კახეთსა და გურიაში და თუმცა ჯერ-ჯერობით ამ ორ კუთხეში საექსპლოატაციოდ ნავთი არ ამოუჩენიათ, მაგრამ აქამდე მოხდენილი პირველი გამოკვლევანი იმედს გვაძლევენ, რომ იქაც შესაძლებელია ნავთის წყაროების დამუშავება.

1911 წელს ოფიც. ცნობებით სულ ამოვიდა:

| | | |
|---|---|---|
| ბაქოს გუბ. | 463.203,071 | ფუთი ნავთი |
| თერგის ოლქ. | 75.268,663 | „ „ |
| დაღესტ.-ოლქ. | 36,799 | „ „ |
| ყუბანის ოლქ. | 7,837,243 | „ „ |
| განჯის გუბ. | 12,780 | „ „ |

ცხადია, რომ სიუხვის გამო ნავთი არის საუკეთესო გასახურებელი მასალა, ჩვენი მრეწველობის განსავითარებლად. ჩვენ მრეწველობას რომ განვითარება ეჭირვება დღეს, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. ჩვენს ქვეყანაში ურიცხვი ნედლი მასალა მოიპოვება, რომლის დამუშავება და გამოყენება შეიძლება. დამზადებული საქონლის გასაღება კი მოხერხდება თითონ კავკასიაში, თურქესტანში, სპარსეთში და ოსმალეთში.

მაშასადამე, რადგანაც ნავთი არის ჩვენთვის ყველაზე უფრო ხელ მისაწვდომი გასახურებელი მასალა, საჭიროა მის გამოსაყენებლათ შევიძინოთ ნავთის მოტორები.

**რაში მდგომარეობს ჩვენი ნავთის მოტორების უპირატესობა?**

სრულიად უბრალო სახმარი არიან. მოტორის ყველა ნაწილები ერთ ზომაზე არის გაკეთებული და მათი გამოცვლა ან შეკეთება სულ ადვილი საქმეა. მოტორების ხმარება შეიძლება ყოველნაირი მიზნისათვის.

ძლიერის მომჭირნეობით ხარჯავს ნავთს.

ლამფას რომ მოუკიდებთ, 5 წუთში დაიწყებს მუშაობას.

მთელი დღის განმავლობაში მარტო ორჯელ უნდა გაზეთოთ ნაწილები და არავითარი სხვა [illegible] არ სჭირდება.

არც ქვაბი სჭირდება, არც ხრჩოლავს და არც [illegible] უშვებს.

ნავთი [illegible] ალურ თუჯის ბაკში და თან და თან გამოდის საჭიროების დაგვარათ, ასე რომ ცეცხლის გაჩენის მხრივ სრულიად არ არის საშიშარი. ნავთი ავტომატიურათ ეძლევა და ჩასხმა ხშირად არა სჭირდება.

მოტორს თან ახლავს რეგულიატორი, ასე რომ ნავთის ძლევის შეჩერება შეიძლება, როდესაც გსურთ.

მოტორი შეგიძლიანთ ამუშაოთ გაწმენდილი ნავთით და გაუწმენდელითაც (მაზუთით).

ეს უკანასკნელი ჩვენი ქვეყნისათვის ძლიერ გამოსადეგი არის, რადგან გაუწმენდელი ნავთი ბევრი მოგვეპოვება.

(შემდეგი იქნება)

**დ. ღამბაშიძე.**

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genéve.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

**ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.**

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

№ 3 ბაქოდან. . 12 ს. 54 წ. დღ.
№ 4 ბათომიდან. 5 ს. 55 წ. საღ.
№ 5 ბაქოდან(სწრ.) 7 ს. 41 წ. საღ.
№ 10 ბათომიდან. 9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან 6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან 7 ს. 25 წ. დილ.
„ საღ. 10 ს. 28 წ. საღ.

**თბილისიდან გადის:**

№ 3 ბათომისკენ 1 ს. 45 წ. დღ.
№ 4 ბაქოსკენ . 7 ს. 3 წ. საღ.
№ 6 ბაქოს(სწრ.) 12 ს. 8 წ. დღ.
№ 9 ბათომისკენ. 8 ს. 53 წ. საღ.
ჯულფისკენ 10 ს. 23 წ. საღ.
ბორჯომისკენ 3 ს. 29 წ. დღ.

**კახეთის რკინის გზის მიმოსვლა**

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

თელავისა ᲓᲐ წნორისკენ დილ. 8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის ნაშუადღ. 3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევს 4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ. 5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის 4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის . . . . 5 ს. 15 წ.

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისკენ:**

დილის . . . . . . 8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის. . . 10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისკენ გამოდის დილის. . 10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . . 10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისკენ გამოდის დილის 10 ს. 46 წ.
თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

**წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა**

**„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).**

**ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და მასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

**„განათლება“**

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“** —მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“** —ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“** —ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартки.ладз:.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეგველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა,** მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზაევის შესახვევი № 4.